ხულოს რაიონის დიდაჭარის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეების ერთი ნაწილი სუსტად ფლობს ფიზიკაში გაელიო საპროფესიო მასალის კურსს (მასწავლებელი გ. ინარიძე), ვერ გან-მარტავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ელექტროლიზის კანონები, დენის ძალა და სიმძლავრე, ძაბვა და სხვ. არ ხდება დენთან და-კავშირებული ცდების დემონსტრირება, რაღაც სკოლას სათანადო წყარო არ გააჩნია. არადამაქმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა შეახვეის რაიონის წაბლანის ოვარტლიან (მასწავლებელი ა. ჭანუყა-ძე) და ცინარეთის შვიდწლიან (მასწავლებელი ქვაჭაპირიძე) სკო-ლებში. ცინარეთის შვიდწლიან სკოლას არ აქვს უმარტივესი ტი-ბის სადემონსტრაციო ცდების ჩასატარებელი ხელსაწყობიც კი. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ფიზიკაში ქედის საშუ-ალო სკოლის IX და X კლასებში (ჩასწავლებელი დ. ბოლქვაძე). მოსწავლეები ვერ ერკვევიან იმაში, თუ რა დამოკიდებულებაა ხა-ზოვანი და მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტებს შორის; არ იციან დენის ტრანსფორმაცია.

ხულოს რაიონის სოფ. დიდაჭარის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ზ. გობაძე მართალია ფლობს საგანს და მისი სწავ-ლების მეთოდებს, მაგრამ მის მუშაობაში მაინც შეიმჩნევა ნაკლო-ვანებები. იგი არ იძლევს სისტემატურად მოსწავლეებს საშინაო დაგალებად ამოცანებს, მისი მოსწავლეები ვერ ფლობენ ელემენტა-რული ცდების ჩატარების ტექნიკას, ამეღავნებენ გაელიოლი მისა-ლის სუსტ ცოდნას, არა იქვე მიცემული მასალის თანმიმდევრო-ბით გადმოცემის უნარი. ზეპირსიტყვიერად, თვალსაჩინოების გა-რეჩე ისწავლება ქიმია ცინარეთის შვიდწლიან სკოლაში. არადამა-კმაყოფილებლად ისწავლება ქიმია-ბიოლოგია აგრეთვე ქ. ბათუმის მე-19 და ქობულეთის რაიონის ჩაქვის შვიდწლიან სკოლებში (მას-წავლებლები ა. ხაჩატურიანი და შ. შახდინარიანი).

უპასუხისმგებლოდ მუშაობს ჩაქვის 7-წლიანი სომხური სკო-ლის დირექტორი. ა. გრიგორიანი (ასწავლის მშობლიურ ენასა და ლიტერატურას); სკოლის მუშაობის შესწავლის დღეს იგი ადგილზე არ აღმოჩნდა და როგორც გამოირევა, ხშირად სტოკებს სკოლას

და აედენს გაკვეთილებს, ყაველ დღიურად საჭირო დოკუმენტებს
კი კარადაში ჰქებს. გრიგორიანის მიერ დაუდევრად გასწორებულ
შესწავლეთა წერით ნამეშეცრებში დაუკვირვებლობის შედეგად ფაზი
კირა დღის თარიღი იყო აღნიშნული.

ავარიის ასარ ზოგიერთ სკოლაში საესპერი არადამაქმაყოფი-
ლებელ მდგომარეობაშია საყოველთაო - საეალდებულო სწავლების
კანონის გახსორციელების საქმე.

ხულოს რაიონის დიდაჭარის საშუალო სკოლიდან როგორც
სკოლაში არსებული სასკოლო დღიუმენტების, საკლასო უურნალე-
ბის, დღიურების, სიების, აირადი საქმეების, მოსწავლეთა მოძრა-
ობის აღრიცხვის უურნალისა და სხვა შასალების გასინჯვით დად-
გინდა, განთესილია სასკოლო ასაკის ოთხი ბავშვი, გარდა ამისა
სკლასო უურნალებში შეტანილი 3 ბავშვი (ერთი—მერვე და ორი-
შე-2 კლასში) ჯერაც არ გამოცხადებულა სკოლაში.

ქედის საშუალო სკოლიდან ამ სასწავლო წლის მანძილზე გა-
ნთესილია 7 მოსწავლე. როგორც სკოლის ხელმძღვანელობა აქა-
დებს, ამ მოსწავლეთაგან ზოგი ოესაუბლივის სხვა რაიონების სკო-
ლებშია გადასასვლი, ზოგი კი რესპუბლიკიდან გასულია, მაგრამ ამის
დამადასტურებელი საბუთები სკოლას არა აქვს.

ქედის რაიონის ვაიოს რვაწლიანი სკოლის V კლასში ორი
შოსწავლეა ჩატუბმელი სწავლებაში, ისინი სწავლობდნენ სოფ. სი-
რაბიძეების დაწყებით სკოლაში, რომელიც ვაიოდან 5 კილომეტ-
რით არის დამორჩებული:

ქ. ბათუმის 1-ლ საშუალო სკოლიდან განთესილია სასკოლო
ასაკის 5, III საშუალო სკოლიდან-3 მოსწავლე. ჯერ კიდევ დიდია
შოსწავლეთა მოძრაობა და სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რა-
ოდენობა ზოგჯერ ჭარბობს შემოსულთა რაოდენობას. ასე, მაგა-
ლითად, ქ. ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტინ-
გურტი შემტირდა 16-ით, ხოლო მე-3 საშუალო სკოლისა—17 მოს-
წავლით.

ქ. ბათუმის შასობრივ სკოლებში სახელმწიფო გეგმით 1961—
62 სასწავლო წელს სწავლებაში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 13431
მოსწავლე, ფაქტურად კი სწავლობს 13408 მოსწავლე, ახუ გეგმა-
სთან შედარებით 23 მოსწავლით ნაკლები. გეგმის შესრულებლო-
ბა გამოწვეულია იმით, რომ ქალაქის ვარეუბნიდან სამხედრო ნა-
წილის გადასვლასთან დაკავშირებით სამხედრო მოსამსახურეთა
შეიღები, რომლებიც სწავლობდნენ მე-15 საშუალო სკოლაში, სა-
ცხოვრებლად გადავიდნენ სხვა ქალაქებში.

ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი ვერ გრძნობს იმას, რომ

მეთოდური მუშაობა არის სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ცერითადი უბანი და ჩაკლებ ყურადღებას უზრუნველყოფის განვითარების მიზანის მიზანის რადიკალური და დაგენერაციული მეთოდური მუშაობა შეუძლებელი არის რადიკალური და დაგენერაციული მეთოდური მუშაობის სტანდარტის სასწავლო წელს კლასის ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანების სხდომაზე არც ერთი მოხსენება არ არის წაკითხული, ამ არის შექმნილი დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანება. კლასის ხელმძღვანელთა შეთოდური გაერთიანება არ მუშაობს აგრეთვე ამავე რაიონის ცინარეთის შეიძლებან სკოლაში.

ზოგან სუსტია მასწავლებელთა კოლექტურზე სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობა და კონტროლი, სკოლების ხელმძღვანელები არ ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე ან კიდევ, თუ ესწრებიან, მათი ანალიზები ზოგადია და არაფრის მთემელი.

ირემაცების შეიძლებანი სკოლის დირექტორს გ. ლომინაძეს შემოწმების დღისათვის სულ მოსმენილი პერიოდი 29 გაკვეთილი. გარდა იმისა, რომ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებში გაპარულია ზოგიერთი ენობრივი ხასიათის შეცდომა, მათში არ ჩანს გაკვეთილებზე დასწრების შინანი. სკოლის დირექტორი არ აწარმოებს ერთხელ შითითებულის შემოწმების მიზნით გაკვეთილებზე განმორებით დასწრებას და მის ანალიზს.

მცირე რომლენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები შუახვეის რაიონის წამლიანის რეინტლიანი სკოლის დირექტორს ქ. ბერიძეს, სასწავლო ნაწილის გამგეს ს. ბერიძეს და ცინარეთის შეიძლებანი სკოლის დირექტორს თ. თურქმანიძეს. გაანალიზებულ გაკვეთილებში არ ჩანს გაკვეთილის იდეური, მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური მხარე.

შუახვეის რაიონის უჩაბის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს საწარმოო სწავლების დარგში ხ. ვარშანიძეს მოსმენილი აქვთ საწარმოო სწავლების 33 გაკვეთილი, მაგრამ მას უძნელდება მოსმენილი გაკვეთილების გაანალიზება და მიცემული მითითებებიც ყოველთვის არ არის მართებული. ქ. ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ა. ლარჩიას და სასწავლო ნაწილის გამგეს საწარმოო სწავლების დარგში 6. ლომითათიძეს მცირე რომლენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები, პირველს—33, სოლო მცორეს—21.

შუახვეის რაიონის ცინარეთის შეიძლებან სკოლაში დარღვეულია გაკვეთილების ცხრილის შედგენის პრინციპი. საგნები, რომლებსაც სასწავლო გეგმით კვირაში ორი საათი აქვს დათმობილი, კვირის მოსაზღვრე დღეებში თანმიმდევრობით—უშუალედოდ არის

შეტანილი. მაგალითთად, ბოტანიკა V კლასში შეტანილია ორჩე-
ბათს და სამშაბათს, გეოგრაფია – ხუთშეაბათს და არასკეცს. ჭ. მა-
თუმის მე-16 საშუალო სკოლაში მე-6 კლასში ოთხშებათს წეტანი-
ლია აღვებრა და გეომეტრია, გადატევირთულია მე-7 კლასში თეორიული
შებათის ცხრილი, მე-9 კლასში ინგლისური ენა ცხრილში შეტანი-
ლია უშუალედოდ სამშაბათსა და ოთხშეაბათს.

არასწორადა აგრეთვე შედგენილი ქედის რაიონის მერიისის
საშუალო სკოლის გაკვეთილების ცხრილიც. 1 კლასში ერთ დღეს
ქართული ენის სამი გაკვეთილია შეტანილი და გაკვეთილების საე-
რთო რაოდენობა 5-მდე აღწევს, მეორე დღეს კი იძავე კლასში მხო-
ლოდ სამი გაკვეთილია, დაწყვილებულია დაწყვებით კლასებში შრო-
მითი სწავლება. ცხრილის შედგენის პედაგოგიური პრინციპები
დარღვეულია აგრეთვე ქედის რაიონის კაიოს რეაწლიან და ქ. ბა-
თუმის მე-12 საშუალო სკოლებში.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება შევრ სკოლაში დაბალია.
ქ. ბათუმის მე-16 საშუალო სკოლის VI კლასებში მოსწავლეთა აკა-
დემიური მოსწრება II მეოთხედში 1 მეოთხედთან შედარებით და-
ქვეითებულია: თუ VI კლასში 1 მეოთხედში მოსწავლეთა საერთო
აკადემიური მოსწრება შეადგენდა 81 %, მეორე მეოთხედში იგი
დაიკა 77,5 %-დე, ასევე, VI კლასში მოსწრება შესაბამისად შე-
მცირდა 70 %-დან 68 %-მდე. საგალალო მდგომარეობაა ამ სკო-
ლის VII კლასში: პირველ მეოთხედში ვერ ასწრებდა მოსწავლეთა
53 %, მართალია მეორე მეოთხედში მოსწავლეთა მოსწრება 10 %-
ით გაიზარდა, მაგრამ იგი მაინც საგრძნობლად დაბალია, რადგან
ყოველი 5 მოსწავლიდან 2 მოსწავლე ვერ ასწრებს; დაბალია მოს-
წრება ამ კლასში ცალკეულ საგნებშიც. მაგალითთად, 35 მოსწავ-
ლიდან მათგან ტიკაში ვერ ასწრებს 12, გეომეტრიაში – 10 და ა. შ.
სკოლას პაკაც 10 მეორეწლიანი მოსწავლე, რომელთაგან II მეოთ-
ხედში ვერ ასწრებდა 5 მოსწავლე, იქედან 4 მოსწავლე-3 და მეტ
საგანძი.

ქ. ბათუმის მე-3 საშუალო სკოლის 936 მოსწავლიდან მეორე
მეოთხედში ვერ ასწრებდა 184 მოსწავლე, იქედან 78 მოსწავლე—3
და მეტ საგანძი. აღსანიშნავია, რომ მოსწრება განსაკუთრებით
დაბალია V, VI, VII, IX კლასებში. ამ სკოლის 40 მეორეწლიანი
მოსწავლიდან II მეოთხედის ბოლოს ვერ ასწრებდა თოთქმის ნა-
ხევარი (19 მოსწავლე). საგრძნობლად იკლო აგრეთვე მოსწავლეთა
მოსწრებამ მეორე მეოთხედში ქ. ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის
X კლასშიც. თუ პირველ მეოთხედში მოსწრება 85 %-ს უდრიდა,

მეორე შეოთხედის ბოლოს ამ კლასში ასწრებდა ვოსტავლებუ შხმლოდ 75 %.

არადამაკაცურებულია ვოსტავლეთა შეფასების ქადაგზე მარტო იმა ქედის რაიონის მერიისის სამუალო სკოლაში. ამ ცენტრალური კულტურული სის ერთ-ერთ მოსწავლეს ბ-ცეს I მეოთხედში არცერთი ნიშანი არ აქვა მიღებული საწარმოო სწავლების საგნებში, გეოგრაფიაში და ტიზი-კაში. V კლასის მოსწავლეს ფ. ბ-ცეს მეორე მეოთხედში მიღებული აქვს თითო „2“-იანი გეოგრაფიასა და ინგლისურში, მეოთხედის ბოლოს კი იგი ამ საგნებში დადგებითად არის შეფასებული. მაგავს მდგმარეობას აქვს ადგილი ქედის სამუალო სკოლაშიც.

ზოგან სუსტია საგნობრივი წრეების მუშაობა. მე-16 სამუალო სკოლის ლიტერატურული წრის მუშაობაში არ ჩანს დამოუკიდებლობა და მრავალფეროვნება, წრის მუშაობა ამოიწურება მხოლოდ რეფერატების მომზადებით, ეს რეფერატები წარმოადგენენ უმთავრესად პროგრამული თემების დუბლირებას; ბევრი მათგანი ხელალებით და შეცდომებით არის გადმოწერილი კრიტიკოსთა სტატიებიდან. სკოლაში შემოწმების მომენტისათვის არ იყო ჩამოყალიბებული ქიმიის წრე.

ხულოს რაიონის დიდაჭარის სამუალო სკოლაში ასებული შეიდი საგნობრივი წრიდან ორი (ნორჩ ტექნიკისთა და ტრაქერების) არ მუშაობს. არ არის შექმნილი მხატვრული კითხვის წრე რუსულ ენასა და ლიტერატურაში შუახვეის რაიონის წაბლანის რვაწლიან და ცინარეთის შეიღწლიან სკოლებში. წაბლანის შეიღწლიან სკოლაში აგრეთვე არ არის შექმნილი საგნობრივი წრე ისტორიაში. ქედის სამუალო სკოლის ისტორიის წრის გეგმით გათვალისწინებული თითქმის ყველა საკითხი სააროგრამო მასალას ემთხვევა და დამუშავებული თემებიც სახელმძღვანელო წიგნებში მოცემული მასალის ჩარჩოებს არ შორიდება. არ მუშაობს ქედის რაიონის ვაიოს რვაწლიანი სკოლის ისტორიის წრე.

ზოგიერთ სკოლაში არადამაკაცურებულებლად არის მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები.

შუახვეის რაიონის წაბლანის რვაწლიან სკოლაში ფიზიკის კაბინეტი მოთავსებულია საკლასო ოთახში (მასწავლებელი ა. ჭანუ-ყვაძე). იგი არ არის უზრუნველყოფილი თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით და ელექტრული დენით. ხულოს რაიონის დიდაჭარის სამუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი განიცდის ოპტიკის, მექანიკის, სითბოს, გაზებისა და სითბოს თეოსებების შესწავლისათვის საჭირო სადემონსტრაციო ხელსაწყო-იარაღების ნაკლებობას. ამ სკოლას

საქმიანისი რაოდენობით არა აქვს ისტორიული და გეოგრაფიული რეკოდი.

სკოლების ერთი ნაწილი არ იძრცებს შეგნებული დისკიპულურული წის განმტკიცებისათვის. ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ ჯუჯუჭურია ლების არასაპატიო მიზეზით გაცდენების შემთხვევებს. დიდაქარის საშუალო სკოლაში 1961 წლის სეტემბრიდან შემოწმების დღემდე სკოლის 258 მოსწავლის მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 30¹⁴ გაცვეთილი. ქედის საშუალო სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისიდან შემოწმების დღემდე 280 მოსწავლის მიერ სულ გაცდენილია 13969 გაცვეთილი. მათ შორის არასაპატიო მიზეზით 6202.

ქ. ბათუმის შე-3 საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დისკიპლინა არ დგის მოწოდების სიმაღლეზე. მოსწავლე ვაცები დასცენების დროს უხევიდ ექცევიან გოგონებს, გამოდიან ქუჩაში და არღვევენ წესრიგს. უდისცილინობით განსაკუთრებით გამოიირჩევა მე-9 კლასი. მა სკოლაში I-ლ შეოთხედში ყოფაქცევაში ნიშანი დაუკლეს 10 მოსწავლეს. მათგან მეორე შეოთხედში ნიშანი ყოფაქცევაში აეწია 5 მოსწავლეს. მაგრამ 3 სხვა მოსწავლეს კი დააკლდა, ამრიგად II ტეოთხედის ბოლოს სკოლის ჯყავდა ყოფაქცევაში ნიშანდაკლებული 8 მოსწავლე, რაც კლასის ხელმძღვანელთა ცუდ მუშაობაზე მიუთითებს. მათივე უყურადღებობით უნდა აიხსნას ისიც, რომ უფრო- სი კლასების მოსწავლეები ნაცლები მზონველობით უცლიან სახელ- მძღვანელოებს. სახელმძღვანელოებს არ უვლიან იგრევე მე-16 საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეები; ქედის რაიონ- ის გაიოს რვაწლიანი სკოლის თითქმის ყველა მოსწავლე უზრუნ- ველყოფილია სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით, მა- გრამ ისინი მოუვლელია.

ზოგიერთ სკოლაში სათანადო უურადღება არ ექცევა საკლასო უურნალებისა და მეოთხედური ფურცლების წესიერად წარმო- ებას. ხულოს რაიონის დიდაქარის საშუალო სკოლაში საკლასო უურნალებში ზოგჯერ ადგილი აქვს დამუშავებული შასალის არა- ზუსტად და არაკონკრეტულად შეტანის ფაქტებს; მეოთხედურ ნი- შებზე ხელს არ აწერენ საგნის მასწავლებლები და ზოგიერთი მშობელი. რიგ შემთხვევაში უურნალებში არ არის შეტანილი სა- კონტროლო წერითი ნაშრობების ნიშნები; თითქმის ასევეა ამავე რაიონის ირგმაცევების შეიღწილიან სკოლაშიც. ქ. ბათუმის I-ლი სა- შუალო სკოლის უფროსი კლასების უურნალებში ადგილი აქვს რო- გორც მიმდინარე, ასევე მეოთხედური წარმატების ნიშნების გადა- წორებისა და ამოწლის შემთხვევებს. ასთივე მდგომარეობაა ქ. ბათუმის მე-3, მე-12 და მე-19 საშუალო სკოლებში.

არ არის მოწეული გენერალული მოსწავლეთა პირადი საქმეები ქედის ოაიონის მერიის საშუალო სკოლის X კლასში: და მოსწავლის არცერთ მოსწავლეს არა იქვე დაბადების მოწმობა, ხოლო უცხო-სის დამთავრების მოწმობები შეესტულია ზეოლოდ ჭარბოფლად. ამავე რაიონის ვაიოს ოვაწლიანი სკოლის მოსწავლები უცხოული სობის პირად საქმეებში დაბადების მოწმობების ნაცვლად სასოფ-ლო საბჭოს მიერ გაცემული უირალო ცნობებია შეტანილი.

ზოგან სკოლას სათანადო დახმარებას არ უწევს მშობელთა კომიტეტი.

არადამაკაცუოფილებელია ქედის საშუალო სკოლის მშობელ-თა კომიტეტის მუშაობა. უფდად არის შედგენილი სამუშაო გეგმე-ბი, უწიგნურად არის დაწერილი ოქმები, არ ჩანს ავრეთვე, თუ რა ღონისიცებაა გასატარებელი განხილული საკითხის გარშემო, ვის რა დაევალა და სხვ. მშობელთათვეს არ ჩატარებულა პედა-გოგიური ხასიათის ლექცია და მოსხენება. მრავალი ნაკლოვანებით ხასიათდება ქვდის რაიონის ვაიოს ოვაწლიანი სკოლის მშობელთა კომიტეტის საქმიანობა, არადამაკაცუოფილებელად მუშაობს ავრე-თვე ქ. ბათუმის შე-12 საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტი.

აქარის ასსრ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითს შეწამ-ბაში ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრის მი-ზნით საჭიროდ მიგვაჩინია გატარდეს შემდეგი ღონისიცებანი:

1. აქარის ასსრ განათლების სამინისტრომ:

ა) უხრუნველყოს ამ მოხსენებითი ბარათის განხილვა აქარის ასსრ ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დასახოს. კონკრეტული ღონისიცებანი სკოლებისა და ჩასწავლებლების მუშა-ობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ბ) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა დირექტო-რებისა და სასწავლო ნაწილის გამგების მუშაობაზე და საჭირო დახმარების აღმოჩენით მათი მთელი საქმიანობა წარმართოს საქა-რთველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბრძანებებისა და მითითებების შესაბამისად; მიაღწიოს იმას, რომ რაიონების პედაგოგიური კაბინეტები ქმედით დახმარებას უწევდ-ნენ სკოლებს, რომ სკოლების პედაგოგიური საბჭოების სსღომებზე სისტემატურად იხილებოდეს ცალკეული სავნების სწავლების მდგო-მარეობისა და სწავლების გაუმჯობესების, წერითი მუშაობის და-ყენების, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობის, მოსწავლეებში შრო-მითი ჩვევების დანერგვის, მეთოდური, აღმზრდელობითი ხასიათის და სხვა იქტიულური საკითხები; მუშავდებოდეს მეთოდურად და პედაგოგიურად გამართული ღონისიცები, რომლებიც ნამდვილად

გაუწევს დახმარებას შასწავლებლებს საგნების სწავლების არსებით თაღ გაუმჯობესების საქმეში.

გ) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ დააყენოს ის მასწავლებელები, რომელთა მეშვიობის შემოწმების პროცესში გამოიწვიან განვითარებული სერიოზული ხაკლოვანები:

ქართულ ენასა და ლიტერატურაში — თ. ქაჯაია, ლ. თურმანიძე — ქედის რაიონის მერიისის საშუალო სკოლა, გ. ბე. რიცე — შუახევის რაიონის უჩაბნის საშუალო სკოლა (X კლასი), შ. წულუკიავე — სულოს რაიონის დიდაქტორის საშუალო სკოლა (V—VI კლ.), შ. შერევაშიძე — ქედის რაიონის გაიოს რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასები:

რუსულ ენასა და ლიტერატურაში — მ. ტრეტიავი და ე. სიჭინაევა — ქედის რაიონის მერიისის საშუალო სკოლა, გ. აბულავე — ხულოს რაიონის ირემაცების შეიდწლიანი სკოლა; რუსულ ენაში — ნ. წულუკიძე და კ. მელავე — ხულოს რაიონის დიდაქტორის საშუალო სკოლის III—IV კლასები; ლ. დევანაძე — ხულოს რაიონის ირემაცების შეიდწლიანი სკოლის III კლასი. სომხურ ენასა და ლიტერატურაში — ა. ოვანესიანი (ქ. ბათუმის მე-12 საშუალო სკოლა), ჩ. ხანჩალიანი, ო. ვაგანიანი და ა. ბოზოიანი (ქ. ბათუმის მე-19 შეიდწლიანი სკოლა), ს. ელიოანი (ჩაქევის შეიდწლიანი სკოლა);

მათგან გრიკაში — შ. ივანიძე — შუახევის რაიონის ჯაბნიძეების შეიდწლიანი სკოლა; შ. ხახეიშვილი — შუახევის რაიონის უჩაბნის საშუალო სკოლის V კლასი; ი. კოსი — ქ. ბათუმის მე-3 საშუალო სკოლა; დ. ბოლქვაძე — ქედის საშუალო სკოლა;

ფიზიკაში — გ. ინარიძე — ხულოს რაიონის დიდაქტორის საშუალო სკოლა; ა. ჭანუყვაძე — შუახევის რაიონის წაბლანის რვაწლიანი სკოლა; კვაჭანტირაძე — შუახევის რაიონის ცინარეთის შეიდწლიანი სკოლა; დ. ბოლქვაძე — ქედის საშუალო სკოლა;

ქიმიაში — ზ. გობაძე — ხულოს რაიონის დიდაქტორის საშუალო სკოლა; ა. ხაჩატურიანი — ქ. ბათუმის მე-19 შეიდწლიანი სკოლა, იზრუნოს მათი ედაგოგიური, მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. უმაღლესდაუმთავრებელი მასწავლებლები ჩააბას დაუსწრებელ სწავლებაში.

დ) მიაღწიოს იმას, რომ არსებითად გაუმჯობესდეს სკოლების ხელმძღვანელთა მხრივ დამწეულ და სეულთოდ მასწავლებლებისათვის დახმარება, გაკვეთილების შემოწმების სარისხი და კონტროლი. დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამვევები წინასწარ საფუძვლიანად ეცნობოდნენ მასწავლებლთა გაკვეთილის გეგმებს, გაკვეთილისათვის მომზადების ხარისხს, გადასაცემ მასალის და გაკვეთილებზე დასწრების შედევრად შეჩინეული ნაკლოვანებების გა-
33. კრებული

მოსასწორებლად ჩისწავლებლებს აძლევდნენ მეთოდურად, გამართულ მითითებებს;

ე) განხილოს რუსული ენის იმ მასწავლებელთა საქონი, რომელებიც ენის არადამაკმაყოფილებლად ცოდნის უზრუნველყოფად ასწავლიან რუსულ ენასა და ლიტერატურას და არსებული წესის დაცვით შესკვალოს ისინი ამ საგნის მცოდნე მასწავლებლებით.

ვ) ქ. ბათუმის და ჩაქვის სომხური სკოლების მასწავლებელთათვების შექმნას სასკოლათაშორისო გეთოდგაერთიანებანი.

ზ) სისტემატურად აწარმოოს ზოწინავე მასწავლებელთა მუზაობის საუკეთესო ნიმუშების განზოგადება, ამ საქმეში ფართოდ გამოიყენოს საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე შტატგარეში ინსპექტორები.

თ) გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მიაღწიოს მომავალი სასწავლო წლიდან მიმდინარე წელს ოთხკლასდამთავრებული ყველა მოსწავლის ჩაბმას V კლასებში და V—VIII კლასების მოსწავლეთა მთლიანად შენარჩუნებას.

2. აჭარის ასს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

ა) გადატრით გააუზვობესონ მუშაობა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისათვის, სისტემატურად იზრუნონ მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის, არ დაუწევან მოსწავლეთა განთხესვის არცერთი შემთხვევა.

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში მეთოდური მუშაობის გაშელას. იქ, სადაც მეთოდური გაერთიანებები არ არის შექმნილი, შექმნან ასეთები. უზრუნველყონ მათზე ხელმძღვანელობა, სისტემატურად შეამოწმონ მეთოდური მუშაობის შედევები, გამოვლინებულ ნაქლოვანებათა აღმოჩევრისათვის.

გ) ყოველმხრივ გააუმჯობესონ მოსწავლეთა საგნობრივი წრების მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ წრის მუშაობა აუ ამოიწურებოდეს მხოლოდ რეზერატების მომზადებით და ყოველშერივ უწყობდეს ხელს მოსწავლეთა გონიერივი პორიზონტის განვითარებას;

დ) დარაზმონ პედკოლექტივები მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და შეგნებული დისკიპლინის განმტკიცების უზრუნველსაყოფად;

ე) გავვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიური მოთხოვნების სრული დაცვით, არ დაუშვან საგნების დაწყვილება, დაიცვან საგნების თანმიმდევრობა შეთვისების შერივ მათი სიცნელის გათვალისწინებით;

3) გადამჭრელი ზომები გაატარონ კაბინეტ-ლაბორატორიების
საქირო ხელაუწყო-იარაღებით შესავსებად, უზრუნველყონ მათი შოვ
ლა-შენახვა და დანიშნულებისამებრ გამოყენება;

4) მიაღწიონ მასწავლებლების მიერ საქლასო ურთისესუადის
წესირად წარმოებას, არ დაუშვან მათში ნიშნების გადასწორება
და ამოშლა, არაზუსტი ჩანაწერების შეტანა და სხვ;

5) სრულ წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეე-
ბი მათში ცველა საჭირო საბუთის შეტანით; მოსწავლის დახასია-
თებაში ჩანდეს მისი ბუნება, მისი მისწრაფება და ჩვევები, ცხოვ-
რებასა და ხასიათში მომხდარი ცვლილებანი;

6) უზრუნველყონ მშობელთა კომიტეტების მუშაობის სათა-
ნადო სიმაღლეზე დაყენება, დაეხმარონ მათ სამუშაო გეგმების მო-
ფიქრებულად და წიგნირად შედგენაში, ჩააბან ისინი სკოლის მა-
ტერიალური ბაზის განმტკიცებისა და მთელი სასწავლო-აღმზრდე-
ლობითი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის საჭირო ლონისძიებების
დროულად განხორციელების საქმეში.

სკოლების სამშართველოს უფროსის მოადგილე პ. ფერაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962
 წლის 30 მაისის ბრძანება მცხოვრის რაიონის ქალისის
 საზუალო ცენტრ-აღმდებრებითი
 მუშაობის უფროზოგის უმჯობესი უმსახიშ

გავეცანი რა მცხეთის რაიონის დალის საშუალო სკოლის (დირექტორი ლ. არქანია, სასწავლო ნაწილის გამგე ი. მანქანა-შვილი) მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღნიშნავ, რომ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ძალზე არადამაკმაყოფილებ-ლადა დაყენებული.

სკოლაში დაბალ დონეზე დგას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება (მასწავლებლები თ. მარტუქაშვილი და მ. ბალალაშვილი); არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა; მოსწავლეებს არ შესწევთ დამოუკიდებლად თხრობისა და სწორი მეტყველების უნარი; მათვე სუსტად იციან მხატვრული ნაწარმოების ზინაარსი და სახეპირო აღვილები. ქართული ენა ისწავლება თვალსაჩინოებისა და პრაქტიკული ვარჯიშის გარეშე, მოსწავლეებმა გრამატიკის წეს-კანონები იციან ზეპირად, მაგრამ არ შეუძლიათ მათი გამოყენება წერასა და ზეპირ მეტყველებაში. წერაში ამჟღავნებენ ისინი როგორც ენის კანონების, ასევე ლიტერატურული მასალის ძალზე დაბალ ცოდნას. მასწავლებლები მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ, არ ასწორებენ გულდასმით და შეცდომები რჩებათ შეუმნიერებელი; არ წარმოებს მოსწავლეთა მიერ შეცდომების გასწორებაშე ვარჯიში. საკონტროლო წერითი ნამუშევრები უმრავლეს შემთხვევაში ერთნაირია, ერთი „ბარგალეკიდანაა“ გადაწერილი, ამას ადგილი აქვს ყველა კლასში, განსაკუთრებით კი დამამთავრებელი X კლასის მოსწავლეთა ნამუშევრებში, რაც მასწავლებლებს შეუმნიერებელი რჩებათ.

არადამაკმაყოფილებლადა დაყენებული რუსული ენის სწავლება II—X კლასებში. დაწყებითი კლასის მასწავლებლები ლ. მეჩიტაშვილი, თ. ლაშაური, რ. ვალიშვილი და ნ. თელორაძე სუსტად იციან მხატვრული ნამუშევრების გამოყენებას და მათი გამოყენების უნარი. მათვე სუსტად იციან მხატვრული ნაწარმოების ზინაარსი და სახეპირო აღვილები. ქართული ენა ისწავლება თვალსაჩინოებისა და პრაქტიკული ვარჯიშის გარეშე, მოსწავლეებმა გრამატიკის წეს-კანონები იციან ზეპირად, მაგრამ არ შეუძლიათ მათი გამოყენება წერასა და ზეპირ მეტყველებაში. წერაში ამჟღავნებენ ისინი როგორც ენის კანონების, ასევე ლიტერატურული მასალის ძალზე დაბალ ცოდნას. მასწავლებლები მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ, არ ასწორებენ გულდასმით და შეცდომები რჩებათ შეუმნიერებელი; არ წარმოებს მოსწავლეთა მიერ შეცდომების გასწორებაშე ვარჯიში. საკონტროლო წერითი ნამუშევრები უმრავლეს შემთხვევაში ერთნაირია, ერთი „ბარგალეკიდანაა“ გადაწერილი, ამას ადგილი აქვს ყველა კლასში, განსაკუთრებით კი დამამთავრებელი X კლასის მოსწავლეთა ნამუშევრებში, რაც მასწავლებლებს შეუმნიერებელი რჩებათ.

ტად ფლობენ საგანისა და მისი სწავლების მეთოდებს, ვერ ამჩნევავ
მოსწავლეთა მიერ ზეპირსა და წერით მეტყველებაზე დაშეტურ
შეცდომებს, თვითონაც არასწორად მეტყველებენ და მოუშავდებ
ლად ატარებენ გავეტილებს. ძალზე დაბალია მოსწავლეთა კონცენტრაცია
ღონე V—X კლასებში (მასში. ჩურჩიანი), მოსწავლები საპროგრამო
შესალის სუსტ კოდნას ამეღლანებენ, დამახინჯებულად კითხულობენ,
არასწორად გამოთქვამენ სიტყვებს, მასწავლებლები არ ასწორებენ
საქალასო და საშინაო წერით ნამუშევრებს, არ ავარჯიშებენ მოს-
წავლებს დაშვებული შეცდომებისა გასწორებაზე. მასწავლებელი
თ. ჩურჩიანი არ იცნობს აროგრამას, რის შედევად იგი VIII კლასში
IX კლასის შესალას ასწავლის.

ძალზე დაბალია მოსწავლეთა კოდნის ღონე შეთემატიკაში. VIII კლასის (მასში. ლ. გულბათაშვილი) მოსწავლეებმა არ იციან
ფესვების შეკრება და გამოიკვება, ფესვების გამარტივება და კვად-
რატული განტოლების ამოხანა. მასწავლებელი ლ. გულბათაშვილი
მოსწავლეებს მუშაობაში არ აბამა, მოსწავლეთა მიერ დაშვებულ
შეცდომებს არ ასწორებს. X კლასის (მასში. ქ. ეჯოშვილი) მოსწავ-
ლეთა მომზადების ღონე ტრიგონომეტრიაში იძლენად დაბალია,
რომ საშინაო დაგალებად მიცემული მარტივი სახის ამოცანა რომ-
ბის წვეროზე დიდი დიაგონალის პერპენდიკულარულად გამავალი
ლერის გარშემო ბრუნვით მიღებული სხეულის მოცულობის გამო-
ანგარიშებაზე არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა ამოხსნილი; გასწავ-
ლებელმა ეს ამოცანა მოსწავლეებს კლასში ამოახსნევინა, ამოცანის
ამოხსნისას მოსწავლეებმა გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიაში
წინა წლებში შესწავლილი მასალის სრული უცოდინარობა გამოამ-
ზლავნეს.

გასწავლებელ ქ. ეჯოშვილს არა აქვა საიმისო გამოცდილება,
რომ ასწავლის უფროს კლასებში, მიუხედავის ამისა სასწავლო
ნაწილის გამგევ ი. მანქანაშვილმა გასული სასწავლო წლის მეორე
ნახევარში მისა IX კლასი მასში. ქ. ეჯოშვილს გადასცა.

დაბალია მოსწავლეთა მომზადების ღონე გეომეტრიაში VII—IX
კლასებში (მასწავლებელი ი. მანქანაშვილი, იგივე სასწავლო ნაწი-
ლის გამგევ). VII კლასის მოსწავლეებმა ვერ გამოიანგარიშეს ტოლ-
ფერდა სამკუთხედში ფურცესთან მდებარე კუთხეები, როდესაც ცნო-
ბილია წვეროსთან მდებარე კუთხე; მათ არ იციან ბარალელოგრა-
მის ნიშნები, მართულთხედის, რომბის ირითადი თვისებები. VIII
კლასის მოსწავლეებმა არ იციან მართულთხა სამკუთხედის ელემენტთა
შორის თანაფარდობა. მათ ვერ განსაზღვრეს მართულთხა სამკუთ-

ხელში მართი კუთხის წყეროდან პიპოტენუზაზე დაშეებული პერ-
ცენტრულარის სიგრძე პიპოტენუზის მონაკვეთების საშუალებით.

დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე ქიმიაში (მასშ. ნ. ბერებულებული
ნიც). ქიმიის კაბინეტი მოუწყობელია და ლარიბია ხელსაწყობით მოვარ-
ღებით, არ ტარდება ლაბორატორიული გაკვეთილები, საკონტრო-
ლო პრაქტიკული საშუალები და საღემონსტრაციო ცდები, ამის
შედეგად სწავლებაში ადგილი აქვს ფორმალიზმს, ხოლო მოსწავ-
ლეთა ცოდნის შეფასების საქმეში — ლიბერალიზმს.

არადამატაყოფილებელია აგრეთვე მოსწავლეთა ცოდნა გერ-
მანულ ენაში (მასშ. ე. ციხისთავი). IX—X კლასების მოსწავლეებმა
სუსტად იციან საპროგრამო მასალა, მათ უჭირთ კითხეა და წერა,
არ შეუძლიათ ტექსტის დამოუკიდებლად თარგმნა, ლარიბია მათი
ლექსიური მარაგი.

დამამთავრებელი X კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე
საერთოდ იმდენად დაბალია, რომ სიმშიფის ატესტაცია მისაღებ
გამოცდებზე მათი დაშვება შეუძლებელია.

სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო სა-
ვალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეს. გასულსა და
მიმდინარე სასწავლო წელს სკოლიდან განთესილია 18 მოსწავლე;
მოუწესრიგებელია მოსწავლეთა მორიანის აღრიცხვის საქმე.

არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. ზოგი-
ერთი დღეები გადატვირთულია მათემატიკური საგნებით, ზოგი კი
პუმანურით. დაუდევრადაა წარმოებული საკლასო ეურნალები. ად-
გილი აქვს ნიშნების ამოთხევისა და გადასწორების შემთხვევებს;
საკლასო ეურნალებში შეტანილ მეოთხეფურ ნიშნებს სავნია მას-
წავლებლები ხელს არ აწერენ.

ძალზე სუსტია პედაგოგიური საბჭოს მუშაობა: მეოთხედების
ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ არის გაანალიზე-
ბული მეოთხედებში ჩატარებული შეზაობა, არაა გამოვლინებული
მასწავლებელთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და არ არის
დასახული კონკრეტული ლონისიცებანი მათ სალიკეიდაციოდ.

არადამატაყოფილებად მუშაობენ კლასის ხელმილვანელები,
ზოგადია მათი სამუშაო გეგმები, შათ არ ვააჩინიათ ჩატარებული
შეზაობის აღრიცხვა.

სუსტია შინასასკოლო კონტროლი და ხელმილვანელობა მას-
წავლებელთა მუშაობაზე; დირექტორსა და სასწავლო ნაწილის
გამგეს ცირკ რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები და გაკ-
ვეთილების ანალიზებიც არადამატაყოფილებელია.

სკოლაში არ წარმოებს მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა, მეთოდგაერთიანებები არ არის შექმნილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 422 ბრძანების შესაბამისად.

სკოლის მუშაობაში არსებული ეს სერიოზული ნაკლოვანებანი ძირითადად იძინს შედეგია, რომ სკოლის დირექტორი ლ. არქანია და სახწავლო ნაწილის გამგე ი. მანქანაშეილი ვერ ხელმისაწევლობენ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, მათ არ შესწევთ უნარი ჩაუდგნენ პედაგოლექტიეს სათავეში და დარაზმონ იგი სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. მცხეთის რაიონის ძალის საშუალო სკოლის დამამთავრებელი X კლასის მოსწავლეებს, რომელმაც საბროგრამო მასალის ძალშე სუსტი ცოდნა გამოამტებულია, სიმწიფის ატესტატის მისაღები გმოცდები გადაედოთ საშემოდგომოდ. დაევალოს მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების და სკოლის დირექტიას მოაწყონ ამ კლასის მოსწავლეთათვის ზაფხულის პერიოდში ყოველდღიური მუკადინეობა.

2. ძალის საშუალო სკოლის დირექტორი ლ. არქანია, რომელმაც ჩაშალა სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მოიხსნას თანამდებობილან.

3. დაევალოს მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ა. ბარისაშვილს:

ა) შეარჩიოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს ძალის საშუალო სკოლის დირექტორის კანდიდატურა.

ბ) დაადოს სათანადო სასჯელი სასწავლო ნაწილის გამგეს ი. მანქანაშეილსა და ბრძანებაში დასახელებულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებს; წარმოადგინოს წინადადება ახალი სასწავლო წლიდან მათი განთავისუფლებისა ან ჩამოყენების შესახებ არსებული წესების დაცით.

გ) ყოველდღიური დახმარება და ხელმისაწევანელობა გაუწიოს ძალის საშუალო სკოლას სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

4. მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ა. ბარისაშვილს სკოლისადმი არადამაკმაყოფილებებით ხელმისაწევანელობისათვის გამოიცხადოს საყველური.

5. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ყველა სკოლის პედაგვიოს სხდომებზე და ცოლისის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეთა მშობლების კრებაზე.

6. სკოლების სამმართველოშ (ამს. დ. ჯავახია) და კატეტის
განყოფილებაშ (ამს. ი. კვაჭაცე) დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების
შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების მიზნების ტრადი-
კოლეგიის 1962 წლის 25 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშვარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წ.-
 8 ივნისის ბრძანება მცხოვრისა და ჩატარების რაიონების
 სკოლები სასწავლო-აღმზრდალობითი გუარაბის
 უფლება უმართების უფლება

გავეცანი რა მცხეთისა და ყაზბეგის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვ-
 ნიშნავ, რომ ამ რაიონების რიგ სკოლებში მასწავლებელთა გარევი-
 ული ნაწილი კარგად ფლობს საგანს და ნაყოფიერ ედაგოგურ
 საქმიანობას ეწევა. ამ მხრივ გამოიჩინებიან დაწყებითი კლასის მას-
 წავლებლები: ც. გარსევანიშვილი (მცხეთის საშ. სკოლა), ტ. ნაჯა-
 იე (ყაზბეგის საშ. სკოლა), მ. ახვლედიანი (მცხეთის რაიონი, მი-
 საქციელის საშ. სკოლა), ნ. მალანია (ყაზბეგის რაიონი, სიონის საშ. სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები:
 ო. კაანაცე, ზ. რევესკაია (მცხეთის საშ. სკოლა), გ. პლახატნივა-
 (მცხეთის რაიონი, ცეკვის საშ. სკოლა), მ. ლუდუშაური (ყაზბეგის საშ. სკოლა); მათემატიკის მასწავლებელი ლ. გელაცე (ყაზბეგის საშ. სკოლა); ქიმიის მასწავლებლები ქ. ბერია (მცხეთის რაიონი, მი-
 საქციელის საშ. სკოლა) და თ. აქსავანიშვილი (ყაზბეგის რაიონი, სიონის საშ. სკოლა); გერმანული ენის მასწავლებლები ქ. ალიბეგა-
 შვილი (ყაზბეგის რაიონი, სიონის საშ. სკოლა) და ა. ქორიძე (მცხეთის რაიონი, შეხრანის საშ. სკოლა).

შიუხედავად ამისა შესწავლილი სკოლების მუშაობაში ადგილი-
 აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

დაწყებითი კლასის ზოგიერთი მასწავლებელი, ქერძოდ, ნ. ფი-
 რანიშვილი (ყაზბეგის რაიონი, სიონის საშ. სკოლა), რ. ხულეულიცე-
 (ყაზბეგის რაიონი, სიონის საშ. სკოლა), ა. ხატისოვა (მცხეთის საშ. სკოლა) არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ვერ აცლევენ მოს-
 წავლებებს დედაქის აროგრამით გათვალისწინებული მასალის ცოდ-
 ნას. ბავშვებს არა აქვთ გამომუშავებული სუფთად, აზრიანად და-
 სწორად წერის ჩვევები; არ წარმოებს ვარჯიში შეცდომების გას-
 წორებაზე; მცირეა მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი და დაბალია
 ზეპირი მეტყველების დონე.

სეზონშელი ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული ენის ფა-
ლიტერატურის სწავლება. დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და სწო-
რი მეტყველების დონე მცხეთის რაიონის მისაცეკვილის კამპუტერ
მერაბიშვილი), ყაზბეგის რაიონის (მასწ. ა. დავითაშვილის სამუშაო
სკოლებში. მოსწავლეთა უმრავლესობას არ შესწევს დამოუკიდებლად
თხრობისა და სწორად მეტყველების უნარი, ამ შეუძლია ნაწარმო-
გბის იდეურ-მხატვრული ანალიზი. ქართული ენის სწავლება III—IV,
V—VII კლასებში წარმოებს მშრალად, თვალსაჩინოებისა და ვარ-
ჯიშის გარეშე. მოსწავლებმა ზეპირად იციან ქართული ენის გრა-
მატიკის კანონები, მაგრამ ვერ იყენებან როგორც წერითს, ისე
ზეპირ მეტყველებაში. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები
მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ, ამ ას-
წორებენ გულდასმით და შეცდომები რჩებათ შეუმჩნეველი.

დედაქნასა და ლიტერატურაში განსაკუთრებით სუსტი მომ-
ზადება გამოიმტავნეს ყაზბეგის რაიონის სწორი (მასწ. გ. ბულაშ-
ვილი) საშუალო სკოლის დამამთავრებელი X კლასის მოსწავლებინა.
ამ სკოლის X კლასის მოსწავლეთა საკონტროლო წერითი ნამუ-
შევრები თითქმის ერთი შეორისაგან არის გადაწერილი. სკოლის
ხელმისამართები ყოველივე ამას ურიგდებიან და მათი კონტროლი
და დახმარება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლე-
ბისადმი არადამაქმაყოფილებელია.

არადამაქმაყოფილებლად ფლობს სავანს რუსული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელთა ერთი ნაწილი. ზოგიერთი მათგანი
ვერ აცნობეს ზეპირად წერით შეტყველებაში დაშვებულ შეცდო-
მებს, არ ასწორებს საკლასო და საშინაო წერით რეეულებს, ამის
შედეგად მოსწავლეებიც საპროგრამო მასალის სუსტ ცოდნას ამ-
ზღავნებენ, დამაზინებულად კითხულობენ, არასწორად გამოთქვა-
მენ სიტყვებს, თავის ადგილას ამ ხმარობენ მახვილებს, წერით
ნამუშევრებში უშვებენ უხეშ შეცდომებს, განსაკუთრებით ცუდად
არის დაყენებული რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება
მცხეთის რაიონის მისაცეკვილისა (მასწ. ე. უჩანევიშვილი) და სტე-
ტის (მასწავლებელი ლ. ბეგლარიშვილი) საშუალო სკოლებში. მას-
წავლებელი ზ. ჩქარეული (ყაზბეგის რაიონი, სიონის საშუალო
სკოლა) რუსულ ენასა და ლიტერატურაში მოუმშადებლად ატა-
რებს გაკვეთილებს, არ იძალებს კვალიფიკაციას და უპასუხის-
მგებლოდ ეკიდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

არადამაქმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის სწავ-
ლება ყაზბეგის რაიონის სწორი (მასწ. შ. გელაშვილი) და მცხეთის

რაიონის მისაქციელის საშუალო სკოლის (მასწ. ე. ჩილოშვილი) 1X—X კლასებში. ყაზბეგის რაიონის სწორი საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან ლოგარითმის ძირითადი ტექსტები, არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიები. ხელში ვარც ერთხა მოსწავლემ ვერ შესლო ბინომის ხარისხის მაჩვენებლის განსაზღვრა, როდესაც ცნობილი იყო ბინომიალური კოეფიციენტების ჯამი; მათ არ იციან ბინომისა და უტოლობის ძირითადი თვისებები და კომპლექსურ რიცხვებზე მოქმედებანი. ასევე დაბალი მომზადება გამოამუდავნეს ალგებრაში ამავე სკოლის VII კლასისა (მასწავლებელი გ. ლუდუშაური) და ყაზბეგის რაიონის სიონის საშუალო სკოლის VIII კლასის (მასწ. გ. გელარე) მოსწავლეებმა. შექმნა სკოლების მოსწავლეებს არ შესწევთ მაგალითებისა და ამოცანების დამოუკიდებლად ამოხსნის უნარი. აღნიშნული სკოლების მასწავლებლები არ ცდილობენ დანერგონ მოსწავლეებში ზეპირი ანგარიშის ჩეკვები.

მცხეთის რაიონის ტეგვის (მასწ. ე. განჯავაძე), მცხეთის (მასწ. დ. კუთხაშვილი, ქ. ნიბლაძე) საშუალო სკოლების VII—IX კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე გეომეტრიაში დაბალია. VII კლასის მოსწავლეებმა ვერ გამოიანგარიშეს ტოლფერდა სამკუთხედში ფურცელთან მდებარე კუთხეები, როდესაც ცნობილია წვეროსთან მდებარე კუთხე. არ იციან აარალელოგრამის ნიშნები, მართკუთხედის, რომბის ძირითადი თვისებები. VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან გართკუთხა სამკუთხედის ელემენტებს ზორის თანაფარდობა. ვერ განსაზღვრეს მართკუთხა სამკუთხედში მართი კუთხის წვეროდან პიპორენულზე დაშვებული პერპენდიკულარის სიგრძე ჰიპოტენუზის მონაკვეთების საშუალებით.

აღნიშნული სკოლების მასწავლებლები გეომეტრიის სწავლებისას არ უთმობენ სათანადო ადგილს თვალსაჩინოებას, ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს პრაქტიკული ხასიათის ამოცანებზე, არ ნერგავენ მოსწავლეებში თანმიმდევრული-ლოგიკური მსჯელობის უნარს.

დაბალ დონეზე დგას ქიმიის სწავლება მცხეთის (მასწავლებელი გ. ჩილოშვილი), ყაზბეგის რაიონის სწორი საშუალო სკოლის ა. მანთაშვეა) და ყაზბეგის საშუალო სკოლებში. აღნიშნულ სკოლებში ლარიბია და მოუწყობელია ქიმიის კაბინეტები, არ ტარდება ლაბორატორიული გაკვეთილები, საკონტროლო პრაქტიკული სამუშაოები და სადემონსტრაციო ცდები, ამის შედეგად მოსწავლეთა ცოდნის დონე ქიმიაში ძალზე დაბალია.

დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე გერმანულ ენაში მცხე-

თის რაიონის მუნიციპალიტეტის (მასწავლებელი გ. ვაჩერიშვილი) სამოწმო სკოლაში. ამ სკოლის IX—X კლასების მოსწავლეებს არა დაწერებული თხვისა და ტექსტის დამოუკიდებლად თარგმნის ჩვევების დაწერებულებელი ვ. ვაჩერიშვილი სუსტად ფლობს გერბის ულ ეტაპზე დაწერებულ სწავლების მეთოდებს. ფორანგულ ენაში გავლილი მასალის სუსტი ცოდნა გამოავლავნება მცხეთისა და მთამართის (ლ. ქათათავია და ე. ბერანიშვილი) VI, VII, VIII და IX კლასების მოსწავლეებმა.

მცხეთის რაიონის მისაქციელის, წილქნის და გალავნის საშუალო სკოლებში საწარმოო სწავლება სერიოზული ნაკლოვანებებით, ხასიათდება, თუმცა სკოლებს გამოყოფილი ძევთ ერთიან ინტექტურამდე მიწის ნაკვეთი, მაგრამ იგი მოუვლელია; მოსწავლეები ამ არიან უზრუნველყოფილი შექატერისი სასოფლო-სამუშაოებისათვის, საეკუთანაცმლით და თეალსაჩინი მასალებით. სათანადო სიცალეში ამ დგას საწარმოო და ზრობითი სწავლების მასწავლებლებისადმი კონტროლი და დახმარება. სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგები იშვიათად ისმენენ ამ საგნების მასწავლებელთა გაკვეთილებს, ამ აკონტროლებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშაომოებლური შრომის მიმღინარეობას და ამ აწარმოებენ შექმნილი პროდუქციის აღრიცხვას. სკოლები ამ არიან უზრუნველყოფილი სათანადო განათლების მქონე კადრებით, მაგალითად, მისაქციელის საშ. სკოლაში დღემდე ამ არიან დანიშნული სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში და ამ საქმეს ხელმძღვანელობს უმაღლესდაუმთავრებელი ნ. გულბათაშვილი; შრომით სწავლებას სასწავლო-სახელოსნოში ხელმძღვანელობს ფიზკულტურის მასწავლებელი ნ. რევაზიშვილი. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც.

მცხეთისა და ყაზბეგის რაიონების ზოგიერთ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეს. მცხეთის საშუალო სკოლიდან განთესილია 6 მოსწავლე, რევის საშუალო სკოლიდან — 13, ჩიხაქციელის საშუალო სკოლიდან — 5, ყაზბეგის რაიონის სწავლის საშუალო სკოლიდან — 8, სიონის საშუალო სკოლიდან — 4, ყაზბეგის საშუალო სკოლიდან — 2 მოსწავლე.

შესწავლილ სკოლებში გაკვეთილის ცხრილის შედგენისას არ იცავენ პედაგოგიურსა და მეთოდურ მოთხოვნებს; ცხრილში საგნების სიცნელეთა მიხედვით დღეები თანაბრად ამ არიან დატვირთული, ადგილი აქვს გაკვეთილების გაწყვილების შემთხვევებს.

არადამაქმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა სკოლებში, განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 422

ბრძანების შესაბამისად არ არის შექმნილი საუკოლო და სასკოლა-თაშორისა მეთოდური გაერთიანებები, ამ მხრივ სუსტია პედაგოგიკურების დახმარება და ხელმძღვანელობა რაიონების სკოლებისადმი.

სუსტია შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა შეცვლილი წარმატებულია წარმატებისადმი. დირექტორებს და სასწავლო ნაწილის გამგებს მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები და ანალიზებიც არადამაკაყოფილებელია. ყურადღება არ ექცივა საქ-ლასო უურნალების წარმოებას, მიმდინარე შეფასების ნიშნები ყოველთვის არ შეაქვთ უურნალებში. აღვილი აქვს სკოლებში საათების დაჭურმაცების მავნე პრაქტიკას. მაგალითად, ყაზბეგის საშ. სკოლის VI კლასში აოთიშეტიკას და გეომეტრიას ერთი მასწავლებელი ასწავლის, აღვებრას კი მცირე მასწავლებელი.

მცხეთის (გამგე ა. ბარისაშვილი) და ყაზბეგის (გამგე გ. კურ-კუჩული) რაიონების განათლების განყოფილებები პედაგოგიურ კაბინეტებთან ერთად თუმცა ამოწმებენ სკოლების მუშაობას, მაგრამ სათანადო ყურადღებას არ აქცივენ მიუცმულ მითითებათა შესრულების შემოწმებას. რაიონების ედაგოგიური კაბინეტები სუსტად ეხმარებიან სკოლებს მეთოდური მუშაობის დარგში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამ-გებმა:

ა) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მინით გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ მათ გაკვეთილებს და საფურცლიანად გააანალიზონ მოსმენილი გაკვეთილები;

ბ) სასწავლო კაბინეტები შეავსონ ხელსაწყო-იარალებითა და რეაქტივებით, შექმნან საჭირო პირობები სწავლების პროცესში თვალსაჩინოების სათანადოდ გამოყენებისათვის.

გ) გაკვეთილების ცხრილი შეაღიხონ პედაგოგიურ მო-თხოვნათა შუსტად დაცვით;

დ) ტრიუქ კონტროლი დააწესონ საყოველთაო - საყალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებაზე, მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლის გარეთ დარჩენილ სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებაში ჩამისათვის, არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა განთხესვა;

ე) გარდაქმნან და გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა სკოლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 422 ბრძანების შესაბამისად.

ვ) პედაგოგიური საბჭოს სხურმებშე სასწავლო მეოთხედების

ბოლოს მოახდინონ მეოთხედის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის ლრმა ახალიზი, გამოივლინონ სასწავლო-აღმზრდელობის ფუნქციაში არსებული ნაკლოვანებები და განახორციელონ ქმედის ლონისიცებანი მათ სალიკვიდაციოდ:

გამოყენებული

3) ინტერნ სკოლების ნივთიერი ბაზის განმტკიცებისათვის, მიიღონ საჭირო ზომები ახალი სასწავლო წლიდან საშუალო სკოლების მთლიანად საწარმოო სწავლებაზე გადაყენისა, მათთვის სათანადო ბაზების შექმნისა და კადრებით უზრუნველყოფისათვის.

თ) დაწყებითი კლასების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლთა მუშაობა გარღვევნან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 8 ივნისის № 488, 29 ივნისის № 460, 17 მაისის № 324, 7 აგვისტოს № 563, 12 აგვისტოს № 585 ბრძანებების საფუძველზე.

2. სანის სწავლების არადაბაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის ზასწავლებლებს ნ. ფირანიშვილსა და გ. ბულაშვილს (ყაზბეგის რაიონი, სნოს საშუალო სკოლა), რ. ხულელიცეა და ა. დავითაშვილს (ყაზბეგის რაიონი, სიონის საშ. სკოლა), ა. ხატისოვას (მცხეთის საშუალო სკოლა), თ. მერაბიშვილს (მცხეთის რაიონი, მისაქციელის საშ. სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ე. უჩანევიშვილს (მცხეთის რაიონი, მისაქციელის საშ. სკოლა), ზ. ჩქარეულს (ყაზბეგის რაიონი, სიონის საშ. სკოლა), მათემატიკის მასწავლებლებს ლ. კუთხაშვილს (მცხეთის საშ. სკოლა), შ. მელაშვილსა და გ. ლუდუშვილს (ყაზბეგის რაიონი, სნოს საშ. სკოლა). გ. გელაძეს (ყაზბეგის რაიონი, სიონის საშუალო სკოლა), ე. მანჯავიძეს (მცხეთის რაიონი, ცეკვის საშუალო სკოლა), ქიმიის მასწავლებლებს მ. ჩხიფევიშვილს (მცხეთის საშ. სკოლა, ა. მანთაშვილის (ყაზბეგის რაიონი, სნოს საშ. სკოლა), გერმანული ენის მასწავლებელს ლ. ვაჩე-შვილს (მცხეთის რაიონი, მეხრანის საშ. სკოლა), ფრანგული ენის მასწავლებლებს ქანთარიაა და ე. ბერანიშვილს (მცხეთის საშ. სკოლა) მიეთითოთ.

3. მცხეთისა და ყაზბეგის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებში აშშ. აშშ. ა. ზარისაშვილმა და გ. კურკუმშვილმა:

ა) გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სკოლის მუშაობის გამოკვლევის შედევები განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ ქმედითი ლონისიცებები სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის;

ბ) უზრუნველყონ საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილი სკოლები სათანადო სასწავლო-საწარმოო ბაზებით და საჭირო კადრებით;

გ) შტკიცე კონტროლი დაწესონ საყოველთაო-სპეციალური ბულ სწავლების კანონის განხორციელებაზე. არ დაუშვან სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობა და უზრუნველყონ მოსწავლეთა მთლიანად შენარჩუნება რვაწლიანი სკოლის ფარგლებში;

დ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ ყველა სკოლის პედ-საბჭოს სხდომებზე.

საფუძველი: საქართველოს სარ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 25 მაისის დადგენილება.

საქართველოს სარ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ.
11 ივნისის ბრძანება აჭარის ასსრ გათუმას, ჩედისა და
ფორმულების რაიონების სოცლის ახალგაზრდობის
სკოლებაზი სახელმწიფო აღმზრდელობითი მუშაობის
ზომორდების შედეგების შესახებ

გავეცანი რა აქარის ასსრ ბათუმის, ქედისა და ქობულეთის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღმზრდნავ, რომ, მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა ამ სკოლების მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი.

შემოწმებულ სკოლებში კლასები დაუტერითავია, თუმცა ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში სწავლებაში ჩატარებულია წარმოებაში მომუშავე საშუალო განათლების ორმეტონი 300 ახალგაზრდა.

სკოლების ხელმძღვანელები არ იბრძვიან მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის. ბათუმის რაიონის ხელვაჩიურის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში 5 სექტემბერს სიითირიცხებოდა 133 მოსწავლე, 1962 წ. მაისში, შემოწმების დროისათვის კი—იყო 101 მოსწავლე, 32 მოსწავლით ნაკლები; ამავე რაიონის ურეხის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლიდან გასულია 13, ქობულეთის რაიონის დაგვის საშუალო სკოლიდან კი—17 მოსწავლე.

სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები საქმიან კავშირს არ ამყარებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან; ამის გამო აღნიშნული რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში წარმატებით მოსწავლე ახალგაზრდები დღემდე არ სარგებლობენ შემცირებული სამუშაო დღით.

ჯერ კიდევ მოუგვარებელია მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების საქმე, რაც იწვევს მოსწავლეთა გაკვეთილებზე დაგვიანებას ან სრულიად გამოუცხადებლობას, ზოგჯერ სწავლიდან მოწყვეტასაც კი. ასე, ზაგალითად, ქობულეთის რაიონის დაგვის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში 26 აბრილს 87 მოსწავლიდან

მეცადინეობაზე არ გამოცხადდა 24, ხოლო ხელვაჩაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში 24 აბრილს—18 ახალგაზრდა.

ბათუმის რაიონის ხელვაჩაურისა და ურების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებს არ გააჩნიათ მუშაობის ნორვეგიული უნივერსიტეტის რიპორტები. სასკოლო შენობები უვარვისია და სასწავლებლი კაბინეტები ღარიბი, ამის გამო მეცადინეობა მიმდინარეობს ზეპირ-სიტყვიერად, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე.

ურებისა და დაგვის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში არა-დამამაცყოფილებელია პედსაპურის მუშაობა, არა საქმიათ ჩატარებული სხდომების რიცხვი. ნაცელად დებულებით ვათვალისწინებული 7 სხდომისა, შემოწმების მომენტისათვის მოწვევული იყო მხოლოდ 4 სხდომა. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მოსმენილი არ არის ცალკეული საგნების სწავლების საკითხები, ზოგადად არის განხილული სასწავლო წლის მეოთხედებში ჩატარებული მუშაობის შედეგები და სხვ.

დასახელებული სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლეჯები არასაკმაო ყურადღებას იქცევენ საღამოს სკოლების მუშაობის სპეციფიურ პირობებს, რაც ნათლად ჩანს სკოლის წმინდა და კლასის ხელმძღვანელთა სააღმზრდელო სამუშაო გეგმებიდან; სათანადო პასუხისმგებლობით არ არის შედგენილი გაევეთილების ცხრილი ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის, ურების, ქობულეთის რაიონის დაგვისა და ქედის სოფლის ახალგაზრდობის სამუშაო სკოლებში. ადგილი იქნება ერთი ციკლის საგნების თანმიცოლებით შეტანას ცხრილში და ცნებად ასათვისებელი საგნების ერთდღეს გათვალისწინებას.

აღნიშნული სოფლის ახალგაზრდობის სკოლები დაგვიანებით დებულობენ სახელმძღვანელო დოკუმენტებს. მაგალითად, სკოლებისათვის არ იყო ცნობილი იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეტანილი იყო გეოგრაფიის IX კლასის პროგრამაში; გვებით V კლასში უნდა ისწავლებოდეს ბოტანიკა, VI-ში ზოოლოგია და VII-კლასში კი ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგია, სამეცადინო ცხრილით კი VI—კლასში ნაცელად ზოოლოგიისა შეტანილი იყო ბოტანიკა, ხოლო VII კლასში ნაცელად ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიისა—ზოოლოგია.

სათანადო დირექტივის საფუძველზე სკკ გრილობის მასალები უნდა ისწავლებოდეს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის განკუთვნილი საათების ხარჯზე—სამეცადინო ცხრილში კი ეს ცვლილება გათვალისწინებული არ არის. ქედის სოფლის

ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში შემოწმებამდე სკუპ XXIV ქრისტონულობის მასალები არ ისწავლებოდა.

დაგვის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში შემოწმებამდე სკუპ მეცადინეობს, რაც ეწინააღმდეგება არსებულ დებულებებით ვართა ზოგ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება.

ქვედის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის (დირექტორი - ა. ბერიძის) მეთე კლასის აკადემიური მოსწრება III მეოთხედში 50%-ს არ აღემატება. ეს პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი მოუმზადებელი ცხადდება სკოლაში და უბასუხისმგებლოდ ეყიდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. შემოწმების დღეს მასწავლებლებს ა. ბერიძეს (ფიზიკა) ა. შარვაშიძეს (ალგებრა), ჯიჯავაძეს (ისტორია) არ აღმოაჩინდათ გაქვეთილის გეგმები.

არადამატებული ყოფილებლადაა დაყენებული მათემატიკის სწავლება ბათუმის რაიონის ურეხის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის X კლასში (მასწ. ს. ძაგნიძე). მასწავლებელმა მოუმზადებლად ჩაატარა ტრიგონომეტრიის გაკვეთილი, ვერ განმარტა მახვილი ქუთხის უარყოფითი კოსინუსი, ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა გამრავლებისას არ გამოიყენა შემოკლებული ფორმულები და გამრავლება მრავალწევრთა გამრავლების წესით შეასრულა; მასწავლებელს არ აღმოაჩინდა გაკვეთილის გეგმა. მასწავლებელი ს. ძაგნიძე მოსწავლეთა საკონტროლო ნამუშევრებს გულდასმით არ განიხილავს, რის გამოც ადგილი აქვს შეტანილი შეცდომების გაუსწორებლად დატოვებას; IX კლასში 21 მარტს, ჩატარებული საკონტროლო ნამუშევრები მას შემოწმების დღეს 25 აპრილს ჯერ კიდევ არ პქონდა გასწორებული.

სააროგოამო მასალის დაბალი ცოდნა გამოამტებულია ქობულეთის რაიონის დაგვის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის (დირექტორი ფ. კანდოპული) VIII კლასის მოსწავლეებმა ფიზიკაში (მასწ. ი. კასტერიძი). მათ სუსტად იცოდნენ სხეულთა თავისიუფალი ვარდნის კანონები, ვერ გამოთვალეურა რა მანილს გაიღლის ვარდნილი სხეული 5 წამში, ვერ დაწერს ნიუტონის კანონის ფორმულა და სხვა. მეთოდურად დაბალ დონეზე ჩაატარა ფიზიკის გაკვეთილი ამავე მასწავლებელმა IX კლასში; ახალი მასალა მან არასრულად და შეკუმშულად ახსნა; მასწავლებელმა ძალზე გამარტივებულად აღწერა სახელმძღვანელოში მოცემული ცდა გამაჯერებელი ორთქლის მიღების შესახებ.

საპროგრამო მასალის არასაკმაო ცოდნას ამჟღავნებენ ამავე სკოლის რუსული სექტორის VII კლასის მოსწავლეები ქართულ ენაში (მასწავლებელი ნ. თავდერიძე). ისინი სუსტად ფლობენ გავ-

ლილ მასალას, ლარიბია მათი ლექსიკური მარაგი, გაქვეთიღად ჰიცემულ ადიდება საპჭოთა ქვეყანას”, კითხულობენ დონზე სუსტად; მოსწავლეთა უმრავლესობამ სუსტად იცოდა აღვლისა და ლროის ზმინედები, მათი წერითი კულტურის დონე ძალზე მდგრადი იყო.

არადამაჯმაყოფილებელ ცოდნას იჩინენ გეოგრაფიაში ქობულეთის რაიონის დაგვის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები (მასწ. კ. ქარანდობულო); მათ სუსტად იციან რუკის კითხვა, ისანი არ არიან ჩაბმული მრაქტიკულ ვარჯიშობაში კონტურულ რუკებზე და სხვ.

შემოწმებულ სკოლებში მოუგვარებელია ტირითადი სასკოლო დოკუმენტების წარმოების საქმე. ქედის, ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის, ურეხისა და ქობულეთის რაიონის დაგვის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებს არ გააჩნიათ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის წიგნები.

ხელვაჩაურისა და ურეხის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში სიმწიფის ატესტატების აღრიცხვას აწარმოებენ 7 კლასის დამთავრების მოწმობების აღრიცხვის წიგნებში, რომლებიც დაუნომრავი, დაულუქავი და შეუმოწმებელია განათლების განყოფილების შეტ.

არადამაჯმაყოფილებელია ხსენებული სკოლების კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა. მოუგვარებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, უფროსი კლასის მოსწავლეთა დიდ ნაწილს არა აქვთ წარმოდგენილი ცნობები სამუშაო იდენტიფიკაციან, 7 კლასის დამთავრებისა და დაბადების მოწმობები.

სუსტია ხელამლვანელობა და კონტროლი სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა შეზაობაზე. ქობულეთის რაიონის დაგვის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს ფ. ქარანდობულოს მოსმენილი აქვს ხსოლოდ 15 გავეთილი, ბათუმის რაიონის ურეხის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს შ. ანანიძეა—30 გავეთილი, ხოლო ქედის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ბევანიძეს უკანასკნელი თვეენახევრის განმავლობაში არც ერთი გავეთილი არ პქონდა მოსმენილი, გაკვეთილის ანალიზები ზოგადი ხასიათისაა და არ ხდება შითითებათა შესრულების შემოწმება.

მასწავლებელთა შორის შეთოდური შეზაობა თითქმის არ ტარდება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. ბათუმის, ქობულეთისა და ქედის რაიონების განათლების

განყოფილებებშია: (ბ. შიქელაძე, რ. ჯინჭარაძე და ვ. ნაკარაძე) გა-
აღმიერონ სოფლის ცხალგაზრდობის სკოლებისადმი კონტროლ
და ხელმძღვანელობა, მომავალში სისტემატურად შექმნავთ
საკითხი ამ ტიუსის სკოლებში სასწავლო-აღმარტინის მდგრადი
მდგომარეობის შეკახებ და საჭიროების მიხედვით გახდონ იყი
სახალხო განათლების საპროექტის მსჯელობის საგნად.

2. სკოლების დირექტორებში:

ა) დააყენონ საკითხი იდგილობრივი ხელმძღვანელი ორგა-
ნოების წინაშე უკოლაში მოწავლე ახალგაზრდობის იუტომანქანე-
ბით გადაყენის საკითხის მოწევარიგების შეკახებ;

ბ) სათანადო მუშაობა გაზალონ აღგილობრივ კომიკეში-
რულ და აროტეკნიკულ ორგანოებთან ერთად წარმოებაში მომუ-
შვე საშუალო განათლების არ მქონე ახალგაზრდობის სწავლებაში
ჩასაბმელად და 1962/63 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა კონ-
ტინგენტის გვერდი შეურულების უზრუნველსაყოფად;

გ) სათანადო ხელმძღვანელობა და კონტოროლი განახორ-
ციელონ მასწავლებელთა მუშაობაზე, გაკვეთილების სისტემატური
მოსმენით და შეჩენებულ ნაკლოვანებათა აღმოფხერით უზრუნველ-
ყონ ცალკეული საგნების სწავლების არსებითად გაუმჯობესება;

დ) სისტემატურად ისრუნონ მასწავლებელთა უდაგოგი-
ურ-მეთოდური დახელვენებისათვის, ბოლო მოულონ საგნობრივ
მეთოდებისათვის მუშაობის შეუფასებლობის დღემდე არსებულ
პრაქტიკას;

ე) მეტი ყურადღება მიაქციონ სკოლების სასწავლო-აღმა-
რტილობითი მუშაობის დაგეგმვას, შემოქმედებითად მიუდგენ ამ
ტიპის სკოლების მუშაობის საეკიფიკას;

ვ) უდაგოგიური საბჭოების მუშაობა წარმართონ საქართ-
ველის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების
სრული შესაბამისობით; ახალი სასწავლო წლიდან გაკვეთილების
ცხრილი შეადგინონ უდაგოგიურ-მეთოდურ მოთხოვნათა სრული
გათვალისწინებით;

ზ) აღმოფხერან გაკვეთილებშე მოსწავლეთა არასაპატიო
მიზეზით გაცდენა-დაგვიანების შემთხვევები;

თ) წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან მტკიცე,
საქმიანი კავშირის დამყარებით უზრუნველყონ სკოლების სასწავლო
მატერიალური ბაზის განვიტკიცება;

ი) შეტი ყურადღება მიაქციონ აღნიშნული ტიპის სკოლე-
ბის საკუთარი კაბინეტ-ლაბორატორიებით და სასკოლო ბიბლიო-
თეკებით უზრუნველყოფისა და მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლა-

პორატორიებით სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სარგებლობის საკითხის მოგვარებას;

კ) საგაზაფხულო გამოცდების დაწყებამდე წესრიგში მოყვანის უკუმცნევის განვითარებისას სასკოლო დოკუმენტი.

3. მასწავლებლებმა ყოველდღიურად სრულყონ თვავიახთო აერაგოვიურ-მეთოდური კვალიფიკაცია, პრაქტიკული მუშაობის საქმიანობა, გაითვალისწინონ ამ სკოლების მუშაობის სპეციფიკა, განსაკუთრებული ყურადღება მიიკუთონ სწავლებაში თვალსაჩინოების დაწერვებას, მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის შეგნებულად ათვისებას და მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცებ დაუფლებას.

4. ბათუმისა და ქობულეთის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებებში სათანადო სასუჯელი დაადონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებს ს. დაგნიცეს (ბათუმის რაიონის ურეხის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლა), თ. ქასტერიდასა და კ. სანდობულოს (ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის ახალგაზრდობის საშუალო სკოლა).

5. აღნიშნულს, რომ ქედის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორი ს. საჯაია სუსტი მუშაობისათვის განთავისუფლებულია სამუშაოდან.

6. აღნიშნულს, რომ აჭარის ასარ განათლების სამინისტრომ დროულად ერ დაიყვანა სოფლის ახალგაზრდობის სკოლებამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული სახელმძღვანელო დოკუმენტები.

7. აჭარის ასარ განათლების მინისტრმა ვ. წულუკიძემ მიმდინარე წლის 30 ოქტომბრამდე წერილობით მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესრულების მიმღინარეობის შეჯახებ.

8. ეს ბრძანება პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განსახილებულად და სათანადო ლონისძიებათა გასატარებლად დაეგზავნოთ ბათუმის, ქობულეთისა და ქედის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 25 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წ.
 12 ივნისის ბრძანება ქართული ენისა და ლიტერატუ-
 რის ხაზღვების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაო-
 ბაზე განათლების სამინისტროს 1961 წლის 29 ივნისის
 ბრძანების შესრულების მიზანისას განათლების უსახებ
 ქ. მცხეთისა და ბორჯომის სალამის (ცელის) ზოგად-
 საგანმანათლებლო სკოლები

ქ. მცხეთისა და ბორჯომის სალამის (ცელის) სკოლებს ერთ-
 გვერი დადებითი მუშაობა აქვთ ჩატარებული ზოგადსაგანმანათ-
 ლებლო სკოლების V—X კლასებში ქართული ენისა და ლიტერა-
 ტურის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე განათ-
 ლების სამინისტროს 1961 წლის 29 ივნისის ბრძანების შესრულებაში
 შეინიშნება მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვენებანი.

არაიშვიათად სალამის (ცელის) სკოლების მოსწავლეთა შეიშ-
 ვნელოვან ნაწილს სწავლაში დიდი ხნით წყვეტილისა ან თავის
 დროზე აქადემიური ჩამორჩენილობის გამო, ზოგადი განათლების
 დაბალი დონე აქვს. ეს გარემოება, განსაკუთრებით ენის სწავლე-
 ბისას, მოითხოვს მასწავლებლისაგან წინათ შესწავლილი, მავრამ
 დაფიქსირებული მასალების განმეორებას და ამრიგად საფუძვლის
 განვტკიცებას ახლის ასათვისებლად. ეს გარემოება არაა სათანა-
 დოდ გათვალისწინებული ქ. ბორჯომის მუშა ახალგაზრდობის V
 და VII კლასებში, რომლებშიც დაბალია მოსწავლეთა მომზადების
 დონე (მასწ. მ. ავალიანი). V კლასის მოსწავლეებმა არადამაქმაყო-
 ფილებლად იციან გრამატიკიდან ელემენტარული საკითხებიც კი—
 ფრანგისად და ფუძეულშვილი არსებით სახელთა ბრუნება, სახელის
 ფუძე და ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები
 და სხვ. აღნიშნულ კლასებში არასაჭირო ყურადღება ექცევა აგრე-
 სოვე მოსწავლეთა მიერ ენაში შესწავლის თეორიული ცოდნის
 პრაქტიკულად გამოყენებას.

ათავსია მაყოფილებლად არის დაყენებული ქართული ლიტე-

რატერის სწავლება. აღნიშნულ სკოლებში საკრაო აღვილი არ ეთ-
მობა ნაწარმოების ტექსტზე მუშაობას, ენის, მხატვრული მხარის
ანალის. მწერლის მიერ შექმნილი ცოცხალი სურათების, გააზრდა
ბისათვის საჭირო სისტემატურ, გეგმაზომიერ მუშაობას საჭირო და
სახელმძღვანელოდან და კრიტიკული ლიტერატურიდან უსისტემოდ
ამორფული ციტატები. მშობლიური ლიტერატურის შესწავლი-
საღმი ასეთი მიღობა ამცირებს საგნისაღმი ინტერესს, ამჯერ-
ებს შაბლონს, ფორმალიზმს და ე. წ. „შპარგალკომიანიას“.

ყოველივე ამის გაშო, დაბალია მოსწავლეთა ლიტერატურული
განათლება, მათი წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა, ასე
შეგალითად, ქ. მცხეთის მუშა ახალგაზრდობის სკოლის IX—X
კლასს მოსწავლეებს (მასწავლებელი გ. ნუცუბიძე) არა აქვთ გეგ-
მის მიხედვით გაკვეთილის მასალის გადმოცემის ჩვევები, სრულიად
არ იციან ადგილები ტექსტიდან, ზეტიც, ზოგჯერ სწორად ვერ
ასახელებენ ნაწარმოების სათაურსაც კი, უშვებენ ენობრივი ხასია-
თის უხეშ შეცდომებს, რომლებიც ხშირად მასწავლებელს უყურად-
ლებოდ რჩება. ამ სკოლის IX კლასის მოსწავლეები ერთმანეთში
ურევენ გმირის დახასიათებას და თავებადასავალს, დაბალია აღნიშ-
ნული სკოლის VIII და X კლასების მოსწავლეთა წერითი შეტყვე-
ლების კულტურა. 9 მაისს VIII კლასში (მასწავლებელი თ. ღარი-
ბაშვილი) საკონტროლო წერა შეასრულა ოცდაორმა მოსწავლემ,
მათ შორის „არადამაქმაყოფილებელი“ შეფასება მიიღო ცამეტსა, „დამაქმაყოფილებელი“ — რვამ, „კარგი“ კი — ერთმა მოსწავლემ. 8
მაისს X კლასში (მასწავლებელი გ. ნუცუბიძე) საკონტროლო თემა
შეასრულა შვიდმა მოსწავლემ; მათ შორის ხუთმა მიიღო „არადა-
მაქმაყოფილებელი“ შეფასება, ორმა კი — „დამაქმაყოფილებელი“. X² კლასის ცამეტი მოსწავლიდან „არადამაქმაყოფილებელი“ შეფა-
სება მიიღო რვა მოსწავლემ, „დამაქმაყოფილებელი“ — ოთხმა და
„კარგი“ — ერთმა მოსწავლემ.

წერითი შეტყველების დაბალი დონე გამოამტლავნეს იგრეთვე
ქ. ბორჯომის მუშა ახალგაზრდობის სკოლის VII და X კლასების
მოსწავლეებმა (მასწავლებლები მ. ავალიანი, შ. ტაბატაძე, ო. გა-
ბისონია).

მცხეთისა და ბორჯომის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში
ჩატარებულმა საკონტროლო წერამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეებს
არა აქვთ ცალკეული მხატვრული ნაწარმოებების საფუძვლიანი
ცოდნა, მათგან მიმშენელოვანი, ძირითადი საკითხების გამოყოფისა
და მასალის თანმიმდევრულად, წიგნიერად ვადმოცემის ცოდნა-
ჩევები; არ შეუძლიათ თემის გაშლა კონკრეტული, მხატვრული

შასალის გამოყენებით; გაგებული არ აქთ ოემები, რის გამო ჰქონდად პასუხებიც არადამაყმაყოფილებელია; უჭირთ დამოუკიდებლად წერა და ცდილობენ ერთმანეთისაგან ან წინასწარ ფაშიზმული „შპარგალებისაგან“ გადაწერას.

ამისთანავე, საკონტროლო წერით ნამუშევრებში მრავლად ვხვდებით ორთოგრაფიული, სინტაქსური, სტილისტიკური და აუნძტუაციური ხასიათის შეცდომებს.

მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცის სასვენი ნიშნების—მძიმის, წერტილ-მძიმის, წერტილის, ორწერტილის, ბრჭყალებისა და სხვათა სწორად ხმარება. მოსწავლეთა მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია შათი ლექსიკონის სილარიბე, სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობის უკოდინარობა და სხვ.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები არადამაყმაყოფილებლად ასრულებენ წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ განათლების სამინისტროს მეთოდურ მითითებებს: მოსწავლეებს უმთავრესად ერთი და იგივე სახის თემაზე ივარჯიშებენ, შეუმჩნევლად ტოვებენ შეცდომებს მათ ნაწერებში, ცუდად მუშაობენ ტიპობრივ შეცდომათა გასწორებაზე, სისტემატურად არ ასწორებენ საკლასო და საშინაო წერით სამუშაოებს და სხვ.

აღნიშნულ სკოლებში საკათ ყურადღება არ ექცივა მასწავლებლთა შორის მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განხოგადებას და მათი პოლიტიკური და პედაგოგიურ-გრუნიერული დონის აბალოებას. მასწავლებლთა შორის იშვიათად ეწყობა ლექცია-მოხსენებანი მიმდინარე პოლიტიკისა, სწავლებისა და აღზრდის აქტუალურ საკითხებზე. მცხეთის მუშა ახალგაზრდობის სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში არ ჩანს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასაბალებლად გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებანი.

უფრეტულად შუმაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდკომისიები. მათი სამუშაო გეგმები ზოგადია, განსახილები საკითხები—ბუნდოვანი, წაკითხული მოხსენებანი კი ზერელე. მეთოდკომისიების მუშაობის შინაარსის დამახასიათებლად საკმარისია ითქვას, რომ ამ სკოლაში დღემდე განხილული არ არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—X კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ განათლების სამინისტროს 1961 წლის 29 ივნისის ბრძანება. სკოლებში ფორმალურად არსებობს ბიბლიოთეკები; ისედაც მცირე ლიტერატურა უწესრიგოდ, დაუმუშავებლად და უმოძრაოდ აწყვია

კარითებში; თავმინებებულია კლასგარეშე კითხვა და მოსწავლეთა
ღირებულები წრე.

აღნიშნული საგენების სწავლების გაუმჯობესებას ხელს უწილეს უწილეს უწილეს
ის გარემოება, რომ მოუწესრიგებელია მასწავლებელთა სასწავლის მიზანი
დატერიფიცირება, ქ. მცხეობის მუშა ახალგაზრდობის სკოლის 4 კლასში
სამი ლიტერატური მუშაობა. არანორჩილურია ის გარემოებაც,
რომ საღამოს სკოლებში ინიშნებიან ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სა-
თანადო პრაქტიკული გამოცდილების არმქონე მასწავლებლები.

ნაკლოვანებანი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლე-
ბაში გამოწვეულია იმითაც, რომ სახალხო განათლების ადგილობ-
რიები თრგანოები და სკოლების ხელმძღვანელები სათანადო დახ-
მარებას და კონტროლს არ ახორციელებენ ამ საგნების სწავლე-
ბაზე; სასკოლო ბიბლიოთეკებს და პედაგოგიურ კაბინეტებს არ
აქვთ აუცილებელი პედაგოგიურ-მეთოდიკური ლიტერატურა, ქურ-
ნალ-გაზეთები; სკოლების დირექტორები მცირე რაოდენობით ის-
მენენ გაკვეთილებს და ამასთან საგნის სწავლების გაუმჯობესების
მიზნით კონკრეტულ ღონისძიებებს ვერ სახაენ სკოლების პედაგ-
ოგებისა და განათლების განკოფილებათა სახალხო განათლების
საბჭოების მსჯელობის საგნად ჯერ კიდევ არ გამხდარა მშობლი-
ური ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა:

ა) ღრმად შეისწავლონ საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმა-
ნათლებლო სკოლების წინაშე დასმული ახალი მომცნები და შშობ-
ლიერი ენისა და ლიტერატურის როლი მათ გადასაწყვეტად; თა-
ვიანთ ყოველდღიურ მუშაობაში სათანადო ანგარიში გაუწიონ სა-
ღამოს (ცვლის) სკოლების მუშაობის სპეციფიკურ პირობებს;

ბ) უზრუნველყონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და მეც-
ნიერულ-პედაგოგიური ღონის სისტემატურად ახალება და ამ
მიზნით გულმოდვინება იმუშაონ სათანადო პოლიტიკური, მხატვ-
რული პედაგოგიურ-მეთოდიკური ლიტერატურის შესწავლისა და
მათი შემოქმედებითად გამოყენებისათვის;

გ) ქმედითი ღონისითი განახორციელონ გაკვეთილის-
როლის ასამაღლებლად; გონივრულად შეახამონ სასკოლო გაქვე-
თილო წიგნზე მოსწავლე ახალგაზრდობის დამოუკიდებლად მუშაო-
ბასთან; ზუსტად განსაზღვრონ შესწავლილი მასალიდან ძირითადი,
მოსწავლეთათვის დამოუკიდებლად ძნელად დასაძლევი საკითხები
და მიაღწიონ კლასში მათ ათვისებას;

დ) გულმოდვინედ შეისწავლონ ახლად მიღებულ მოსწავ-

ლეთა მომზადების დონე, გამოაცლინონ ხარეების მათ უკანასწილი და, დაეიწყებული საკითხების გასამორებლად საკონსულტაციო თუ დამატებითი მუშაობის ჩატარების გზით, მიაღწიონ მათ ახალი სამომავრო მისამის ასათვისებლად მტკიცებულის მომზადებას;

ე) გადაჭრით გარდაქმნან ქართული ენის სწავლება, გააუმჯობესონ გაკეთილების ხარისხი, მეტი ყურადღება დაუთმონ არაქტიკულ გარჯიშს და შესწავლილი მასალების განმეორება-განმტკიცებას; მტკიცედ დანერგონ სწავლებაში თვალსაჩინოება;

ვ) ლიტერატურის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობას, ენის, ლექ्चიკის ანალიზს, მოქმედ პირთა საქმიანობის და მათი ურთიერთობის დახასიათების ზე��რად და წერილობით მწყობრად გადმოცემის უნარის შემუშავებას; აღმოფხვრან ლიტერატურის სწავლებაში შაბლონი და ფორმალიზმი.

ზ) სათანადო ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში წიგნების დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევების აღზრდას, მწეოლის მიერ შექმნილი ცოცხალი სურათებისა და ხასიათების გააზრებისათვის გეგმაზომიერ მუშაობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლიტერატურის დიდმიზუნელოვანი როლის სწორად გავებინებას.

თ) გადაჭრით გარდაქმნან მუშაობა მოსწავლეთა წერითი მეტყველების ქულტურის ასამაღლებლად; ლრმად შეისწავლონ წერითი ნამუშევრების გასწორების მეთოდიკა, გულდასმით იმუშაონ მოსწავლეთა საქონტროლო, საკლასო და საშინაო წერით ნამუშევრებში დაშვებული შეცდომების გასწორებაზე; ბოლო მოულონ ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდურ მითითებათა შეუსრულებლობას;

ი) მიიღონ ზომები ლიტერატურული წრეების შესაქმნელად და კლასგარეშე კითხვით მოსწავლეთა დასაინტერესებლად; ამ მიზნით მცირდო, საქმიანი კავშირი დაამყარონ სასკოლო ბიბლიოთეკებთან.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობაზე; მტკიცედ დანერგონ პრაქტიკაში მასწავლებელთა შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარება;

ბ) ქმედითი ლონისძიებანი განხორციელონ მოსწავლეთა

ჭეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ასამალლებლად, მო-
აღწიონ მათ მიერ პროგრამით გათვალისწინებული მასალების შეც-
ნებულად, ცნობიერად ათვისებას;



გ) მტკიცე მეთვალყურეობა დააწესონ საწრეო და მუზეუმური მუზეუ-
მურები კითხვაზე, მეცნიერად აამაღლონ ამ საქმეში სასკოლო ბიბ-
ლიოთევების როლი;

დ) სათანადო ზომები მიიღონ სკოლებში მტკიცე ორთოგ-
რაფიული რეეგის, შართლწერისა და მართლმეტყველების დასა-
უვად; წესრიგში მოიყვანონ ამ მხრივ ყველა სასკოლო დოკუმენტი;

ე) მეცნიერად გააუმჯობესონ ქართული ენისა და ლიტერა-
ტურის საგნობრივი მეთოდებისიგბის მუშაობა; გადაქრით უკუაგ-
დონ ამ დარგში დღემდე გამეცებული ფორმალიზმი;

ვ) დროულად მიიღონ აუცილებელი ზომები სახელმძღვა-
ნელოებით და სხვა სასწავლო ნივთებით ნოსწავლეთა უზრუნველ-
საყოფად.

3. საგნის სწავლების არადამატაყოფილებლად დაყენებისა და
მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო მცხეთისა და ბორჯომის-
ზება ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატუ-
რის მასწავლებლებს გ. ნუცუბიძეს და გ. ავალიანს მიეთითოთ.

4. მცხეთისა და ბორჯომის მუშა ახალგაზრდობის სკოლე-
ბის დიპლექტორებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე;
არადამატაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო მიეთითოთ.

5. მცხეთისა და ბორჯომის რაიონების განათლების განყო-
ფილებებმა (ამშ. ამბ. ალ. ბარისაშვილია და ბ. მინჯიამ):

ა) ქმედითი ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციე-
ლონ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაო-
ბაზე; ზეისწავლონ ამ საგნების სწავლების მდგომარეობა და გაატა-
რონ საჭირო ლონისძიებანი, ერთის მხრივ, ზემინეულ ნაკლოვანე-
ბათა აღმოფხვრის, მეორე მხრივ, კი მოწინავე პედაგოგიური გა-
მოცდილების განზოგადების მიზნით;

ბ) მცენტრად გააუმჯობესონ პედაგოგიური კაბინეტების-
მუშაობა; სისტემატურად შეავსონ ისინი ახალი პოლიტიკური,
მხატვრული და პედაგოგიურ-შეთოლდიკური ლიტერატურით; მცაცრი-
ნეთვალყურეობა დააწესონ პედაგინეტების წიგნით ფონდია და-
ნუშავებაზე, ილრიცხვია და დაცვაზე;

გ) სალამის სკოლებისათვის სათანადო დახმარების გაწე-
ვით მიაღწიონ კანონით დაწესებული შეღავათების მიღებას იმ
მოსწავლეთა მიერ, რომელიც წარმატებით ათავსებენ სწავლას და
შრომას.

6. განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა
ინსტიტუტიმა (ამ. გ. ნიორაცე):

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში გაკვეთული მეცნიერებების-
ტემატური ძიადებია, მემკვეთულ ნაკლოვანებათა აღმოჩეული შესახური.
მარების გაწევის და მოწინავე მასწავლებელთა გამოყდილების გან-
ზოგადებით კიდევ უფრო გაალიეროს შემდგომში საღამოს (ცვლის)
ზოგადაგანმანათლებლო სკოლებისადმი იოაქტიკული დახმარება;

ბ) სათანადო ლობისიცებაში განახორციელოს საღამოს (ცვლის) ზოგადაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და
ლიტერატურის აროგრამებია გაუმჯობესების მიხმით.

7. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების
ინსტიტუტში (ამ. თ. ზახაშვილმა) აღგილებზე გაკვეთილების მოს-
მენით, საკუოსო, სასემინარო და სალექციო მუშაობის შემდგომი
გაძლიერებით ხელი შეუწყოს აღნიშეული სკოლების ქართული
ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ცედაგოგიურ მეთოდური
კვალიფიკაციია ამაღლებაში.

8. განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრ-
დობის სკოლების განყოფილებაში (ამ. რ. კანდელაქა) პედაგოგიკის
მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად წარმოადგინოს კონკრეტული
ლონისიცებანი საღამოს სკოლების IX—XI კლასებში ქაოთული
ენის სწავლების შემოღების შესახებ.

9. განათლების სამინისტროს სარეკიზიო ჯგუფმა (ამ. გ. ბო-
კუჩიამ) ცერიოდულად შეისწავლოს სასკოლო ბიბლიოთეკებსა და
რაიონულ (საქალაქო) პედაგოგიურ კაბინეტებში ლიტერატურის
შეცენის, მისი აღოიცხეთ-დაცვის მდგომარეობა და შედეგები მო-
ახსენოს კოლეგიას.

10. გაზეთი „სახალხო განათლებაშ“ (ამ. გ. საჯაიამ) და
ურნალმა „სკოლა და ცხოვრებაშ“ (ამ. ვ. მგალობლიშვილმა) სა-
სათანადო ადგილი დაუთმონ საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების
აქტუალური საკითხების გაშექებას.

11. ეს ბრძანება სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა გატა-
რების მიზნით განხილულ იქნეს რესაუბლივის ყველა საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური საბჭოების
სხდომებზე.

12. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფი-
ლებაშ ახალ, 1902/63 სასწავლო წლის აირველ ნახევარზი შეისწავ-

ლოს ოქსპუბლიკის სკოლებში ან ბრძანების შესრულების მიმღინარეობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1961 წლის 23 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშვარაშვილი

აფხაზეთისა და აჭარის ასერ განათლების მინისტრის,
 სამხრეთ კავკაზის ავტონომიური ოლქის, ჩაღაშვილისა
 და რაიონის განათლების განცოლისათა გამგებებს

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ამასთან ერთად
 გიგზავნით საინსტრუქციო-მეთოდურ წერილს „სალამოს (ცვლის)
 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა პროფე-
 სიული კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ“.

წინამდებარე წერილით დაუყოვნებლივ უზრუნველყოფით სა-
 ლამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, აგრეთვე სათა-
 ნადო ფაბრიკა-ქარხნები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები
 და ამ სკოლების მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღ-
 ლებით დაინტერესებული ყველა წარმოება-დაწესებულების ხელ-
 მძღვანელები.

ამასთანავე აუცილებელია გულდასწით განიხილოთ აღნიშნული
 საინსტრუქციო-მეთოდური წერილი და სკოლის მუშაკების, აგრე-
 თვე საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების
 სპეციალისტთა შენიშვნები და წინადადებანი მისი შინაარსის შე-
 სახებ ა/წ 10 სექტემბრამდე წარმოუდგინოთ საქართველოს სსრ
 განათლების სამინისტროს.

საქართველოს სსრ განათლების
 მინისტრი თ. ლაშეკაშვილი

სალაპოს (ცვლის) ზოგადსაგანანათლებლო საუზალო
 სკოლების მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის
 აგალილების შესახებ (საინსტრუქციო-მითოლური
 წერილი)

სკეპ პროგრამა მოითხოვს მოსწოდილთა განათლების ისე და-
 უნდას, რომ მათ შეეძლოთ წარმოების სფეროში მუშაობას შეუ-
 თავსონ სწავლების გაგრძელება პირადი მოწოდებისა და საზოგა-
 დოების მოთხოვნილების შესაბამისად. ამ ამოცანის პრაქტიკული
 გადაწყვეტა მოითხოვს სალამოს სკოლებში არა მარტო მოსწავ-
 ლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გაუმჯობესებას, არა-
 მედ პროფესიული კვალიფიკაციის აზალების კარგად თრგანიზე-
 ბას.

სალამოს სკოლების სასწავლო გეგმით, გარდა ზოგადსაგან-
 მანათლებლო საგნებისა, გათვალისწინებულია არასაფალდებულო,
 ფაკულტატური მეცადინეობა მოსწავლეთა პროფესიული კვალიფი-
 კაციის ასამაღლებლად, რისთვისაც ქალაქისა და სოფლია სკოლე-
 ბის V—VIII კლასებში გამოყოფილია კვირაში ერთი, ხოლო IX—XI
 კლასებში—ორი აკადემიური საათი.

ყველა სალამოს სკოლაში მეცადინეობა მოსწავლეთა კვალი-
 ფიკაციის ასამაღლებლად ხორციელდება თანდათანობით, ამ სკო-
 ლების ახალ სასწავლო გეგმისწერე გადასცლასთან დაკავშირებით. იმ
 შემთხვევებში, როცა ხარჯებს ამ მეცადინეობისათვის ეწევა წარმო-
 ება, საბჭოთა მეურნეობა, კოლექტურნეობა, მუშაობა აროფესიული
 კვალიფიკაციის აზალებისათვის შეიძლება ტარდებოდეს არა მარ-
 ტო იმ კლასებში, რომლებიც უკვე გადავიდნენ ახალ სასწავლო
 გეგმაზე, არამედ ყველა კლასშიც.

ამგამად საქართველოს სსრ სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმა-
 ნათლებლო სკოლებში მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის
 აზალებია ხორციელდება სხვადასხვა ფორმით და ბევრმა სკოლაშ
 ამ მხრივ უკვე შეიცინა ზოგიერთი დადებითი გამოყიდვება.

რესპუბლიკის ზოგი სალამოს სკოლა სარგებლობს საწარმოებში
 არსებული მუშათა საწარმოო ტექნიკური კურსების პროგრამით

მომუშავე ტექნიკური სწავლების ფორმით, 2—3 წლის სწავლების ვადის მქონე მიზნობრივი დანიშნულების კურსებით და ისტორია სკოლებით. სოფლის ახალგაზრდობის ზოგი სკოლა სოლომონ შემუნეობის მშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებულყოფის ციელებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აროლურტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიერ აგროზოოტექნიკური კურსებისათვის დამტკიცებული პროგრამით.

როგორც წესი, საღამოს სკოლების მოსწავლეები თავიანთ კვალიფიკაციას იმაღლებენ საწარმოების, კოლეჯურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის გეგმების შესაბამისად, იმ პროფესიასა და სპეციალობაში, რომლებშიც ისინი მუშაობენ, სწავლების კურსის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები აბარებენ გამოცდებს და გადაინტენსიურ გასინჯვას, რის შემდეგაც მიენიჭებათ მორიგი, უფრო მაღალი საწარმოო თანრიგი. მაღალი საწარმოო კვალიფიკაციის მქონე მოსწავლეთათვის მეცადინეობა ეწყობა იმ პროგრამით, რომლითაც გათვალისწინებულია ინგინერ-ტექნიკური მომზადების ელემენტები.

დიდ საწარმოებთან და საბჭოთა მეურნეობებთან არსებულ მთელ რიგ სკოლებში ეწყობა მეორე ან მონათესავე პროფესიის შემსწავლელი ჯგუფებიც.

სხვაგვარად ეწყობა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება იმ საღამოს (ცელის) სკოლებში, რომლებიც ემსახურებიან რამდენიმე სხვადასხვა საწარმოს, დაწესებულებას და ამის გამო, პროფესიის მიხედვით მოსწავლეთა შემადგენლობაც სხვადასხვაგვარია. ასე, მაგალითად, ზოგ საღამოს სკოლაში მოსწავლეებს ეძღვათ ცოდნა კონკრეტულ ეკონომიკასა და შრომის ორგანიზაციაში და, თუმცა სკოლა არ აყენებს მოსწავლეთა თანრიგის ამაღლების ამოცანას, ასეთი მუშაობა ხელს უწყობს მათ საწარმოო საქმიანობას და შრომის ნაყოფიერების ზოდას.

ბევრ სკოლაში პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება ხელს უწყობს აგრეთვე მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლების წარმოებასთან, საწარმოო შრომისათან სწავლების კაეშირის უნარიანად განხორციელებაში.

შავრამ სახალხო განათლების ორგანოები და პედაგოგიური კოლეგიები საღამოს სკოლების მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში ხელებიათ დიდ სიძნელეებს. ამ მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მთელ რიგ სკოლებში პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება

წარმოებს მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო დონის გათვალისწინების გარეშე. ცალკეული საეციალური საკითხების შესწავლა ამ ქმარება მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნაშეცალკეული და ამიტომ იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს. ასე, მაგალითში დაგენერირდა V კლასის მოსწავლეებთან ლითონის დნობის საკითხის შესწავლა მანი, როცა მათ ჯერ კიდევ არ იციან ფიზიკა და ქიმია, მიზან-შეუწოდელია, რადგანაც მოსწავლეებს არ შეუძლიათ ითვისონ დნობის ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები.

ზოგ სკოლაში, სადაც მოსწავლეები სრულყოფენ თავიანთ მოშაოდებას იმ საეციალობაში, რომელშიც ისინი მუშაობენ, არო-ფესიული კვალიფიკაციის ამაღლების შინაარსი განისაზღვრება მხოლოდ სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის მოთხოვნებით და არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ზოგადტექნიკური პორტფოლიოს ზრდას, რაც საგრძნობლად ამცირებს ამ მუშაობის ეფექტურობას.

ზოგ სკოლაში არის ცდა მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება. არასწორად დაუკავშირონ აროვესიული კვალიფიკაციის ამაღლებას ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკასა და სხვა საგნებში. ამ შემთხვევაში კავშირი ხორციელდება მხოლოდ ცალკეული თემების გაყიდვის დროს; სასწავლო აროვერამიდან ტოვებენ მთელ რიგ ძირითად საკითხებს და მათი შესწავლა გადააქვთ საეციალურ და ზოგადტექნიკურ კურსებზე. ცველაფერი ეს, უხადია, არღვევს საგნის ლოგიკას, მასალის თანმიმდევრობით განლაგებას და ამის შედევად აუარესებს მოსწავლეთა ზოგადი განათლების ხარისხს.

ცალკეული რედაგოგიური კოლექტივები პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად სარგებლობენ არა მარტო ფაკულტატური მეცადინეობისა და საკონსულტაციო გამოყოფილი საათებით, არაუგრძელი ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნებისათვის. გათვალისწინებული დროითაც. ეს ამცირებს მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას, აუარესებს ცალკეულ საგნებში მოსწავლეთა მომზადების ხარისხს.

ზემოთ აღნიშნული ყველა ნაკლი სალამოს სკოლების მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციასა და შინაარსში აქვეითებს ამ მუშაობის ეფექტურიანობას.

მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში სალამოს სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისადმი დახმარების მიზნით, წინამდებარე წერილში, ამ მუშაობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მოცემულია მთელი რიგი რეკომენდაციები.



სკოლა, რომელიც ახორციელებს მოსწავლეთა უკანასკნელი კვალიფიკაციის აზალლების და ატიპებს შესაბამის აღმართელობით შემსრულებას, უნდა ისწრაფოდეს;

ა) ხელი შეუწყოს მშრომელთა განუწყვეტელ საწარმოო და საერთო კულტურის ზრდას;

ბ) აამაღლოს მოსწავლეთა ზოგადტექნიკური პორიზონტი, სოფლის სკოლებში კი—აგრეთვე გააცნოს მოსწავლეებს სოფლის მეურნეობის წარმოებისა ბუნებრივი ეკონომიკური პირობები;

გ) ხელი შეუწყოს მოსწავლეთა პორტფესიული თანრიგის ამაღლებას და სამუშაოზე მათ წინსელას, საჭიროებისას დაეხმაროს მოსწავლეებს მოსახლეობა ან იხალი პროფესიის (სპეციალობის) მიღებაში;

უზრუნველყოს სოფლის სკოლებში სასოფლო-სამუშაოები ტექ-
ნიკის კარგად მცოდნე, ტრაქტორსა და კომბაინზე მომუშავე, აგრო-
ტექნიკისა და მეცხოველეობის აუცილებელი ცოდნის მეონე. აგრე-
თვე ელექტროორიკაციასა და მშენებლობაში მასობრივ აროტესიებს დაუფლებული კადრების მომზადება;

აამაღლოს წარმოებაში მოსწავლეთა შრომითი აქტივობა, ხელი შეუწყოს სოციალისტურ შეჯიბრებაში მათ ჩაბმას კომუნის-
ტური მროვების კოლექტივისა და დამკვრელის სახელის მოსაპოვებ-
ლად, განავითაროს მოსწავლეებში ინიციატივა და თვითმოქმედება,
შრომისადმი წერიქებულებით დამოკიდებულება;

ე) მოამზადოს მოსწავლეები ტექნიკური პროგრესის, წარ-
მოების აროგრესული შექანიშაციისა და ავტომატიზაციის, გამო-
გონებისა და რაციონალიზაციის განსახორციელებლად აქტიური
მონაცილეობისათვის.

მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებამ ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

მეცადინეობამ მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შეძლებისდაგვარად, უნდა შეცვალოს მოსწავლე-
თათვის წარმოებაში სპეციალური საწარმოო-ტექნიკური კურსები.
ეს გაათავისუფლებს მოსწავლეებს ორ ადგილას მეცადინეობისაგან და ამავე დროს უფრო მიზანსწრაფულ ხასიათს მისცემს სკოლაში მუშაობას.

საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოს-

წარმოების პროცესის უნდა განხორციელდეს საწარმოებში საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობის შეზღუდვის გადრების მომზადების პერსპექტიული გეგმის შესაბამისად და მომზადების პროცესის შესაბამისად განხორციელდეს საბჭოთა მეურნეობების განვითარება.

პროცესიული კვალიფიკაციის ამაღლების შინაარსი და ორგანიზაციული ფორმები

პროცესიული კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებელი პირობაა მოსწავლეთა კარგი ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური მომზადება. მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის პროცესში მოსწავლეებს ღრმად უნდა გავაცნოთ ბუნების მეცნიერების საფუძვლები და წარმოების ტექნოლოგია. ამასთან დაკავშირებით სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ საწარმოო გამოცდილებით სარგებლობას, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მუშაობას წარმოების მოწყობილობასთან (ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან) უფრო მციდრო კავშირში.

მოსწავლეთა პროცესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში უშუალო მუშაობა ხორციელდება სპეციალურ მეცადინეობაზე ტექნიკური, ტექნოლოგიაში, ეკონომიკაზე და წარმოების ორგანიზაციაში. ამ მეცადინეობათა ხასიათი არ შეიძლება ერთნაირი იყოს ერთ სკოლასა და მით უშერეს სხვადასხვა სკოლაში.

მეცადინეობათა შინაარსი და ფორმა დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, სკოლის მოსწავლეთა შემადგენლობისაგან, მათი პროცესიებისა და საეციალობების, სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის თრგანიზაციის თავისებურებისაგან (ცვლიანი შეცადინეობა, სკოლის ტიპი და სხვ.). მეცადინეობის შინაარსი და ფორმა დამოკიდებულია აგრეთვე იმ წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ან საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ახალი ტექნიკის დანერგვის მოცუანებსა და პერსპექტივებზე, ხადაცმუნაობენ მოსწავლეები, მოწყობილობის მოდერნიზაციაზე, კომპიუტერი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებაზე, ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლასა და სხვა სათანიდო ფაქტორებზე. პროცესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად მეცადინეობის შინაარსის განსაზღვრისას აუცილებელია ანგარიში გაეწიოს მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას.

მეცადინეობის შინაარსი პროცესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში შეიძლება განისაზღვროს:

წარმოების კონკრეტული ეკონომიკისა და ორგანიზაციის (1), ზოგადტექნიკური დისკიპლინის (2), სპეციალური კურსების (3),

წარმოების მოწინავე გამოცდილებით მოსწავლეთა შესაირჩევებ-ლად შრომის ნოვატორთა და წარმოების მოწინავე შესწავლისა და ხერხების შესწავლით (4).

თუ აროვესიული კვალიფიკაციის ამაღლება ხდებოდა მიზანის მიზანის ლობაში, რომელშიც უკვე მუშაობენ მოსწავლეები, მაშინ ძირითადი ყურადღება თეორიულ მომხალებას ექცევა, პრაქტიკულ ჩვევათა სრულყოფა კი უმთავრესად მათი ყოველდღიური საწარმოო შრო-მის აროვებში ხდება საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლეგიურნეობათა ჩიერ გამოყოფილ საეციალისტთა ხელმძღვანე-ლობით.

V—VIII კლასების მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება წეილება განხორციელდეს სხვადასხვა გზით.

ყველა ქალაქის სკოლის V—VI კლასების მოსწავლეებს შეიძ-ლება შევასწავლოთ საწარმოო ნახახები, VII—VIII კლასებში სხვა-დასხვა აროვესის მქონე მოსწავლეებს ჯავაცნოთ ტექნიკური ხაზ-ების ელექტრები, ერთგვარი ტოკური მოსწავლეთაგან და-კომისიურებულ კლასში კი შეიცლება გავლილ იქნეს შინნობრივი (მოწყობილობის ახალი სახეები, წარმოების ახალი ტექნოლოგიური აროვესები, ნედლეულის ახალი სახეები, მათი თვისებები და ტექ-ნიკური აირობები და სხვ.) და იგრეთვე საეციალური დანიშნულე-ბის კურსები. საეციალურ კურსებად შეიცლება ოცენმენტებულ იქ-ნეს: მანქანათმშენებელ ქარხებთან არსებული სკოლებისათვის „მან-ქანათმშენებლობის წარმოების საფუცლები“, საფეიქრო ფაბრიკებ-თან მოშუშევე სკოლებისათვის — „საფეიქრო მოწვევლობის საფუ-ცლები“ და სხვ.

ამავე პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული სოფლის ახალ-გაზრდობის საღამოს სკოლების V—VIII კლასების მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება მექანიზაციის, სოფლის მეურნეობის ელექტროფიზიაციისა და მშენებლობის საეციალობებში. იმ სოფლის სკოლებში, რომლებშიც ხორციელდება აროვესიული კვალიფიკაციის ამაღლება მემკენარეობისა და მეცხოველეობის სპეციალობებში, V—VIII კლასებში შეცალინეობის შინაარსი შეიძ-ლება იყოს სხვადასხვაგვარი და ისწავლებოდეს მემკენარეობის ან მეცხოველეობის საფუცლები. აქ შეიტანება აგრეთვე შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხები სოფლის მეურნეობის შესაბა-მის დარგებში. ამისთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ეთ-შობა ახალი ტექნიკის შესწავლას, აგრეთვე კომისიურ მექანიზა-ციას მემკენარეობაში.

საეციალური კურსების დამთავრებისას, როგორც ქალაქის,

ისე სოფლის სკოლებში რეკომენდებულია ელემენტარული ცნობების შესწავლა შესაბამისი წარმოების კონკრეტულ ეკონომიკურ და ორგანიზაციაში.

ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (სკოლის განვითარების სკოლების IX—XI კლასებში მოსწავლეებთან ფაქულტეტური შეცაღინების ინტენსიური მიმართ მიმდინარე მივიჩნიოთ მათი პროფესიული კვალიფიკაციის შემდგომი სრულყოფა, აგრეთვე ახალი პროფესიების ან მონაცესავე საეკიალობათა დაუფლება. ამისათვის სკოლების ტიპის მიხედვით, შეიძლება შეიქმნას ოსტატთა ჯგუფები, მოწინავე გამოცდილების სკოლები. საეკიალური კურსები და სხვ. ასეთი ჯგუფების დაკომისლექტება უნდა მოხდეს მოსწავლეთა სურვილის მიხედვით. ავასთან, ახალი პროფესიების ან მონაცესავე საეკიალობათა დასაუფლებლად ასეთი ჯგუფები იქმნება ერთი ან რამდენიმე პარალელური კლასისაგან. შეიძლება ასეთი ჯგუფები შეიქმნას სხვადასხვა კლასის მოსწავლეთაგან. თუ კლასი სხვადასხვა პროფესიისა და საეკიალობის მქონე მოსწავლეთაგან შეღვება, მაშინ კვალიფიკაციის ამაღლება შეიძლება მოვაწყოთ ინდივიდუალური წესით, წარმოების მოწინავეებზე (ოსტატები, ტრაქტორისტები, კომბაინერები, შეცხოველები და სხვა) მოსწავლეთა მიმაგრების გზით.

უფროს კლასებში მეცადინეობა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად წარმოადგენს V—VIII კლასებში ჩატარებული მუშაობის გადროւელებას. იმ მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება, რომლებიც უშეუალოდ შედიან საღამოს (ცვლის) სკოლების უფროს კლასებში, შეიძლება ვაწარმოოთ V—VIII კლასებითავის გათვალისწინებული აროვრამის მოცულობით.

სკოლებში, სადაც შეიძლება კლასის ან ჯგუფის დაკომისლექტება ერთნაირი პროფესიების მქონე მოსწავლეებით, მიხანებულის კვალიფიკაციის ამაღლება ორგანიზებულ იქნეს საეკიალური კურსებით, რომლებიც უნდა ითვალისწინებული წარმოების ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებას მოეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და სხვა შესაბამის დარგებში, ხოლო სკოლებში, სადაც მოსწავლეებს აქვთ მაღალი პროფესიული მომზადება, მიხანებულის მოწინავეებულ იქნეს ინჟინერ-ტექნიკური, აგრო-ზოორგინიკური ცოდნის ელემენტების შესწავლა, აგრეთვე ლექციების შესაბამისი ციკლის წაკითხვება.

მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში აუცილებელია ორგანიზებულ იქნება მეცადინეობა მოწინავე გამოცდილების შესწავლაზე. ამ შემთხვევაში მოსწავლეები შეიძ

ლება გაეცნონ შრომის მოწინავე მეთოდებს, პროფესიულ ტექნიკას, ტექნოლოგიას და წარმოების ორგანიზაციას.

როგორც ქალაქის, ისე სოფლის სკოლებში, მოსწავლეობაში შემადგენლობის გათვალისწინებით, ზეიძლება შესწავლის საკუთრი კურსი „სამრეწველო ელექტროტექნიკა“, ელექტროტექნიკა და ავტომატიზაციის საფულეობით. ამ კურსში თეორიულ საკითხებთან ერთად საჭიროა სამუშაო აღგილებზე ვუჩენოთ ცალკეული ელექტრული მანქანებისა და ხელსაწყოების არაქტიკული გამოყენება.

სალამის სკოლები, რომლებშიც ბევრია მოსამსახურე პერსონალი (ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების მუშავები, დაწესებულებათა თანამშრომლები და სხვ.), მათთვის აწყობენ სპეციალურ მეცადინეობას პროფესიული კვალიფიკაციის სამაღლებლად. მეცადინეობა მიმდინარეობს კლასებში, თუ ეს უკანასკნელი დაკომისუქრებულია ერთი პროფესიის მუშავებით ან სპეციალურად სხვადასხვა კლასის მოსწავლეთაგან შექმნილ ჯგუფებში.

ვაჭრობის მუშავებს სკოლა აძლევს ცოდნას: საქონელთმოცნეობაში, საქონლის ინტერაციაზე კუთხების ასორტიმენტის, განსაკუთრებით ახლის ასორტიმენტის, დახასიათებით; ვაჭრობის ორგანიზაციის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების შესახებ ახალ სავაჭრო ტექნიკაში აღრიცხვასა და ანგარიშებაში.

სანგარიში დარის მუშავებს ეძლევა ცოდნა: საბუჭხალტრო აღრიცხვის ორგანიზაციასა და გეგმიანობაში, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზში; კონტროლისა და საპარტლის საკითხების საფულეობებში.

საბჭოთა დაწესებულებაში მოსამსახურები ღებულობენ პრაქტიკულ ცოდნას; მანქანაზე ბეჭდებში, სტენობრაფიაში, საქმისწარმოების საფულეობებში და სხვ.

მეცადინეობის შინაარსი ახალი პროფესიებისა და მონათესავე სპეციალობათა დასაუფლებლად უნდა წარმოადგინდეს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკულ ჩვევათა სრულ კომპლექსს, რომელიც შეესაბამება არჩეული სპეციალობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ამ მეცადინეობათა ჩასატარებლად რეკომენდებულია, წარმოების ნოვატორების, რაციონალიზატორებისა და გამომგონებელთა მოწვევა სკოლის მოსწავლეების, იგრეოვე საშეფო და სხვა საწარმოთა მოთა მუშების რიცხვიდან.

მეწაობა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტარდება როგორც სასწავლო მეცადინეობა, სადაც იხსნება ახალი მასალა და წარმოებს ცოდნის სისტემატური შემოწმება. თეორიულ

ტექსტის მიხედვით, განვითარებულია მომზადებული იქნეს პრაქტიკული მეცნიერებების უმუშისობა უმუშისობაში (ახალი ტექნიკები, ინსტრუმენტების, მოწინავე მეთოდების ჩვენება, გაცემისა და სხვ.).

მეცნიერება პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტარდება საჭარბოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების სეცუალისტების, აგრეთვე ამისათვის სათანადო მომზადების მქონე სტაციონარული მიერ.

პროგრამებს მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად აღგენერირდება სკოლისა და წარმოების მუშაკები. პროგრამების შედგენისას აუცილებელია, ჯერ ერთი, მასალის ისე შერჩევა, რომ ის ხელს უწყობდეს მოსწავლეთა ზოგადი ტექნიკური პროგრამის გაფართოებას, საეციალური (პროფესიული) ცოდნის სრულყოფას, მეორე, ითვალისწინებდეს თეორიული საკითხების პრაქტიკულ და ლაბორატორიულ შესრულებას.

მუშაობა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს სკოლის ზოგადსაგანმანათლებლობინაარსს. მიზანშეწონილია, ფიზიკის, ქიმიის მასწავლებლებმა გააცნონ მოსწავლეებს თანამედროვე წარმოების მეცნიერული საფუძვლები; სასწავლო მასალის შესწავლისა და ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულებისას, როგორც წესი, სამრეწველო ობიექტებზე აუსწავს მათ ცალკეული მანქანებისა და მექანიზმების მოწყობილობა და მოქმედება; ამასთან დაკავშირდებოთ ზოგიერთი ლაბორატორიული სამუშაო მიზანშეწონილია ჩიტარდეს საწარმოო მოწყობილობაზე. მთავარია, რომ სალამოს სკოლების მასწავლებლები სწავლების პროცესში უნდა ეყრდნობოდნენ მოსწავლეთა საწარმოო გამოყიდვებას.

წარმატების მოპოვება მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში შეიძლება მხოლოდ სკოლის, წარმოების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობისა და დაწესებულების ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელების პირობებში. ეს ერთობლივი ღონისძიებანი კონკრეტულად გულისხმობა:

ა) მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი გეგმის შედგენას; სამეცნიერო პროგრამის დამუშავებას; კვალიფიციურ საეციალისტთა შერჩევა-გამოყოფას მეცნიერების ჩასტარებლად; თეორიული და პრაქტიკული მეცნიერების ორგანიზაციის და მასზე კონტროლს; საკვალიფიკაციო გამოყენების ჩატარებას და დოკუმენტების გაცემას; აუცილებელი სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნას და შესაფერისი სასწავლო სახელმძღვა-



ნელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფას სპეციალურ დისკიპლინებში;

ბ) მუშაობის შინაარსის განსაზღვრას ზოგად ტექნიკური პორიზონტის გასაფართოებლად, იმ ოონისძიებათა უზრუნველყოფას და გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დარგში წარმატებას; ლექციების თემატიკის, საჭარმოო ექსკურსიების, სასემინარო შეცადინების შინაარსის დამუშავებას, სემინარების ჩასატარებლად ინჟინერ-ტექნიკურ მუშავთა გამოყოფას, ლექციების კითხვებს, ექსკურსიების ჩატარებას, სახსრების გამოწახვებას ამ სამუშაოთა შესასრულებლად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
მუშავთა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების
განყოფილების უფროსი რ. კანდელაკი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962
 წლის 28 მაისის ბრძანება მიერთულის საგანვითო სახლის
 მუზაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ჭიათურის საბავშვო სახლში სრულიად ჩაშლილია სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა. საბავშვო სახლში არაა შექმნილი აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდისათვის ნორმალური პირობები. საბავშვო სახლი არ არის უზრუნველყოფილი მავრი და რბილი ინვენტარით, აღსაზრდელებში არაა გამომუშავებული სახელმწიფო ქონების დაცვისა და შენახვის ჩვევები, საწოლების ბადეები ჩაწყვეტილია, არაა ტანსაცმლის შესანახი კარიდები და სკამები, რის გამო აღსაზრდელები ძილის დროს ტანსაცმელს ზოგჯერ იატაქზე აწყობენ. არადამაქმაყოფილებელია აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენა, იუინი სკოლაში ჭუჭყიანი, მოურგებელი და დახეული ტანსაცმლით დადიან. კეთილმოუწყობელია პირსაბანი, აბანო, სამრეცხაო და საპირფარებო. აღსაზრდელებს არ აქვთ ჯაგრისები და კბილის ფხვნილი. არაა მოწყობილი სპორტული მოედნები, არ გამოიიათ საჭირო მედიკამენტები, მოუწყობელია იზოლატორი.

ძალზე დაბალია აღსაზრდელთა აქადემიური მოსწრება. მიმდინარე სასწავლო წელს I მეოთხედში შეფასებულ 58 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებდა 17, II მეოთხედში—12, ხოლო III მეოთხედში—15. საბავშვო სახლის აღსაზრდელთა მუშაობის ივეგმეა-ალრიცხვა არადამაქმაყოფილებლადაა დაყენებული, სამუშაო გეგმები ზოგადია.

სრულიად მოუგვარებელია აღსაზრდელთა კვება. დირექტორი ა. დემეტრიაშვილის უფრადლებობის შედეგად, აღსაზრდელები ვერ ლებულობენ ნორმით გათვალისწინებულ კვების პროცესში. საბავშვო სახლს ნორმასთან შედარებით არ მიუღიათ 6807 ცალი კვერცხი, 2096 კგ ბოსტნეული, 511 კგ კარტოფილი, 413 კგ მაკარონი, 207 კგ პურის ფქვილი, 142 კგ შაქარი, 140 კგ ნამცევარი, 4986 კგ ნატურალური რცე და სხვა. აღსაზრდელებს ეძლევათ ერთფეროვანი და უხარისხო საჭირო, ხშირად ულულას წო-

ნაში აკლებენ, მიმდინარე წლის 6 აპრილს დამზადებულ თითოეულ კატლეტს 15 გრამი აკლდა.

საბავშვო სახლის დირექტორი ა. დემეტრაშვილი ვერ უჩემდება საბავშვო სახლის სასწავლო-სააღმიშრდელო და საფინანსო სამინისტროს ნეო საქმიანობაზე, მას არ შესწევს უნარი სათანადო ხელშძლვაზე-ლობა და კონტროლი განახორციელოს საბავშვო სახლის მუშაობაზე.

საბავშვო სახლს არ გააჩნია 1961 წლის კვების პროდუქტების შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვის წიგნი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ,

1. ჭიათურის საბავშვო სახლის დირექტორი ა. დემეტრაშვილი, რომელმაც ვერ გაართვა თავი მუშაობას—მოიხსნას თანამდებობიდან.

2. საბავშვო სახლის დირექტორი:

ა) საბავშვო სახლის მუშაობა წარმართოს იმდაგვარად, რომ იგი უზრუნველყოფეს ბავშვების სწორ აღზრდასა და სათანადო ცოდნით შეიარაღებას; მტკიცედ დანერგოს აღსაზრდელებში სასწავლო ნივთების, სახელმწიფო ქონების დაცვის ჩვევები.

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, მიაღწიოს იმას, რომ საბავშვო სახლის მთელი ნაგებობანი სუფთად და ლამაზად გამოიყურებოდეს და თითოეული აღსაზრდელი მტკიცედ იცავდეს პირად პიგინას;

გ) დროულად შეიინოს ს.სწავლო ნივთები და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები;

დ) საბავშვო სახლი უზრუნველყოს მაგარი და რბილი ინვენტარით;

ე) აღსაზრდელთა ფიზიკური გაჯანსაღებისა და გართობის მიზნით მოაწყოს სპორტული მოედნები;

ვ) იზრუნოს აღსაზრდელთა კვების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ნორმით დაწესებული პროდუქტების დროულად მიღებაზე.

ზ) მტკიცე კონტროლი დაწესოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე.

3. ჭიათურის განათლების განყოფილებამ (გამგე თ. მოდებაძე):

ათი დღის ვადაზი შეარჩიოს საბავშვო სახლის დირექტორის თანამდებობაზე შესაფერისი კანდიდატურა და წარმოადგინოს დასამტკიცებლად;

ბ) სისტემატური დახმარება და კონტროლი განახორციელოს საბავშვო სახლის მუშაობაზე.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამშროვე-
ლომ უზრუნველყოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 25 მაისის დადგენილება.



საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშვარაშვილი
